



"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

საერთო დანიშნულების
სახელმწიფო მომსახურების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ფ. შ. გ. ა.

ფრიდონ შენგელია

„*02*“ „*04*“ 2015 წელი

ეგზ. N1

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
მომსახურების სააგენტოს 2013 წლის ფინანსური და 2012 – 2013 წლების შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში *ლ/25/00*

შინაარსი

შემოკლებები	3
დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
პირობითი მოსაზრების საფუძველი	4
კანონმდებლობასთან შესაბამისობა.....	6
გამოვლენილი გარემოებები შესაბამისობასთან დაკავშირებით.....	8
1. მომსახურების სააგენტოს ხარჯთაღრიცხვის გეგმა, საკასო და ფაქტობრივი ხარჯი	8
1.1 ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეკეთებაზე და ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯები.....	11
1.2 წარმომადგენლობითი ხარჯები	11
1.3 ქონების გადაზიდვაზე გაწეული ხარჯები	13
1.4 გამოუყენებელი ძირითადი აქტივი.....	16
1.5 მომსახურების სააგენტოს თანამშრომელთა მივლინებებზე გაწეული ხარჯები.....	16
1.6 ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე საწვავის ჩამოწერა.....	16
2. ფინანსთა სამინისტროში წარადგენილი კვარტალური ანგარიშები	19
3. მომსახურების სააგენტოს მიერ განხორციელებული შესყიდვები	21
4. მომსახურების სააგენტო და შპს „რეგიონული განვითარების ფონდი“	24
5. შპს “Wetzel plaza” - ს ქონების განკარგვა	29
6. მკაცრი აღრიცხვის ფორმები	33
7. სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული და განსაკარგავად გადაცემული მოძრავი ქონების მიღება, აღრიცხვა, შენახვა, შეფასება, განკარგვა და/ან განადგურება	34
7.1 რეზერვების დეპარტამენტის მიერ მომსახურების სააგენტოსთვის განსაკარგავად გადმოცემული მასუთი	34
7.2 გადმოუბარებელი ქონება	41
7.3 დაგვიანებით შესრულებული გადაწყვეტილებები.....	46
7.4 სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული და განსაკარგავად გადმოცემული ქონების ნაწილობრივ მიღება და განკარგვა.....	50
7.5 ადგილზე დაფიქსირებები და მასთან დაკავშირებული ხარვეზები.....	53
7.6 სავაჭრო მაღაზიებით რეალიზაციები	55
7.7 ინტერნეტ-აუქციონით რეალიზაციები	57
7.8 ქონების განაწილება.....	60
7.9 მომსახურების სააგენტოში ჩატარებული ინვენტარიზაციები.....	62
7.10 საქონლის ნაშთები ელექტრონულ პროგრამა „ERP“-ში	64

შემოკლებები

სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო - მომსახურების სააგენტო;

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ფინანსთა სამინისტრო;

საქართველოს ფინანსთა მინისტრი - ფინანსთა მინისტრი;

საქართველოს პრეზიდენტი- პრეზიდენტი;

სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი - რეზერვების დეპარტამენტი.

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა მომსახურების სააგენტოს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებების, სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობისა და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშგებებს მოცემული თარიღებით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდებისათვის.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი

ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად. აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

მომსახურების სააგენტოს არ ჩაუტარებია მოთხოვნების, ვალდებულებების ფულადი დოკუმენტების, სალაროების და სათადარიგო ნაწილების ინვენტარიზაცია 2013 წელს, რითაც დარღვეულია “საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის” შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივნისის N605 ბრძანებით გათვალისწინებული მოთხოვნები. მომსახურების სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზიდან ირკვევა, რომ:

- 2013 წლის 1 იანვრის ფულადი დოკუმენტების ნაშთი ბალანსის ფორმა N1-ში წარმოდგენილია 780 ლარის (419 ლიტრი საწვავი) ნაკლებობით;
- ძირითად საშუალებად აღიარების კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებს 230.9 ათასი ლარის ღირებულების 85 დასახელების აქტივი¹;
- მომსახურების სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ძირითადი საშუალებების რეესტრის ანალიზის საფუძველზე დადგინა, რომ 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვის მეთოდი

¹ . დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის N1321 ბრძანება - „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 22 მუხლის 1 პუნქტი;

შეუსაბამობაშია² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანებით განსაზღვრულ ნორმებთან, კერძოდ მომსახურების სააგენტოში ცვეთის დარიცხვა წარმოებდა N439 ბრძანების და საგადასახადო კოდექსის ცვეთის ნორმების შესაბამისად, ცვეთის ხარჯი თანხა წარმოდგენილია 52.6 ათასი ლარის ზედმეტობით;

➤ 2013 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად 115.0 ათასი ლარი და 23.5 ათასი ლარის ღირებულების აქტივები არ აკმაყოფილებს მარაგის აღიარების კრიტერიუმებს და აღნიშნული აქტივები უნდა დაკლასიფიცირებულიყო გრძელვადიანი მცირეფასიანი ინვენტარის ანგარიშზე, შესაბამისად 2013 წლის 1 იანვრის მარაგების მუხლი ფორმა N1-ში წარმოდგენილია 115.0 ათასი ლარით და 2013 წლის 31 დეკემბრის 23.5 ათასი ლარის ზედმეტობით;

➤ ზემოთ მოყვანილი უზუსტობა ასევე გავლენას ახდენს საცნობარო მუხლ „ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლოატაციაზე“, შესაბამისად 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული მუხლი გაზრდილია 107.7 ათასი ლარით.

დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი

მომსახურების სააგენტოს 2013 წლის იანვრის თვიდან ბალანსზე ერიცხება დაუმთავრებელი არაფინანსური აქტივი 49.0 ათასი ლარის ღირებულებით, რომელიც შედგება 29.0 ათასი ლარის ახალი სასაწყობო ტერმინალის საოფისე შენობის საპროექტო მომსახურების და 20.0 ათასი ლარის ღირებულების ახალი ორსართულიანი ადმინისტრაციული შენობის საპროექტო მომსახურებისგან.

მომსახურების სააგენტოს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი, აღნიშნული დაუმთავრებელი აქტივის, საკუთრებაში მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე საპროექტო დოკუმენტაცია მომსახურების სააგენტომ მიიღო მხოლოდ აუდიტის ჯგუფის მიერ ამ საკითხით დაინტერესების შემდეგ. შესაბამისად აქტივების მუხლი 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფორმა N1-ში 49.0 ათასი ლარით ზედმეტად არის წარმოდგენილი.

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით აუდიტორული მოსაზრების საფუძვლებში დაფიქსირებული უზუსტობების გაუთვალისწინებლად წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს მომსახურების სააგენტოს ბალანსს 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

² . „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“.

კანონმდებლობასთან შესაბამისობა

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მის სამართლიან წარდგენაზე პასუხისმგებლობის გარდა, რომელიც აღწერილია ზემოთ, მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია რომ უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

გარდა ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმის პასუხისმგებლობისა, რომელიც აღწერილია ზემოთ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება მომსახურების სააგენტოს მიერ განხორციელებული ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. შესაბამისობის აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ შეესაბამება თუ არა განხორციელებული ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

მნიშვნელოვანი შედეგები

1. ხარჯთაღრიცხვის თავდაპირველ დამტკიცებულ გეგმაში შეტანილი იყო ისეთი ხარჯები, რომლებიც საერთოდ არ გაწეულა, ან გაწეულია გეგმით გათვალისწინებულზე გაცილებით ნაკლები ოდენობით. ხარჯთაღრიცხვების

ცვლილებების შედეგად თანხის უმეტესი ნაწილი მიმართულ იქნა შრომის ანაზღაურების მუხლში პრემიების ზრდაზე;

2. მნიშვნელოვანი ხარვეზებით ხასიათდება აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში სარესტორნო მომსახურებაზე სააგენტოს მიერ გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების უმრავლესობა. კერძოდ, წარმოდგენილი დოკუმენტებით შეუძლებელია მოწვეული სტუმრების იდენტიფიცირება და ზოგ შემთხვევაში რაოდენობა;

3. სატანსპორტო მომსახურების ფარგლებში გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით გაურკვეველია თუ რომელი დოკუმენტის აღსრულების (დადგენილება, განჩინება, გადაწყვეტილება ან სხვა) საფუძველზე განხორციელდა ქონების გადაზიდვა;

4. სააგენტოს ორივე წელს ფინანსთა სამინისტროსათვის წარდგენილ ანგარიშებში არასწორად (ზედმეტად) აქვს ასახული სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ნივთმტკიცებები ფულადი კუპიურების სახით სულ - 3,609.5 ათასი ლარის ოდენობით;

5. დასუფთავებაზე და სანიტარულ მომსახურებაზე გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტონულ ტენდერში³ გამარჯვებული პირები არ იყვნენ დღგ - ს გადამხდელები⁴, შესაბამისად მათ ტენდერში მონაწილე სხვა პრეტენდენტებთან შედარებით ხელოვნურად შეექმნათ უპირატესობა და სააგენტოსგან ზედმეტად მიიღეს 6.0 ათასი ლარი⁵;

6. სააგენტოს საბანკო ანგარიშზე, 2014 წლის მარტიდან წლის ბოლომდე, საპროცენტო სარგებლის გარეშე განთვსებული იყო შპს „რეგიონული განვითარების ფონდის“ გადმორიცხული თანხები;

7. სააგენტო დამტკიცებული დებულებით გათვალისწინებული ფუნქციებიდან არ ახორციელებს მკაცრი აღრიცხვის ფორმების დამზადებაზე, შენახვაზე და გამოყენებაზე მართვას;

8. რეზერვების დეპარტამენტის მიერ 2013 წლის ოქტომბერში შემდგომი განკარგვის მიზნით გადმოცემული 50,000 ტონა მაზუთი დღემდე განუკარგავია;

9. სააუდიტო პერიოდში სათანადო კონტროლო არ იყო დაწესებული სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების გადმოხარებაზე, განაჩენებისა და გადაწყვეტილებების აღსრულებაზე, ზოგიერთი შემთხვევა კი საერთოდ რეაგირების გარეშე იყო დატოვებული;

³. პრეტენდენტებს სატენდერო წინადადება უნდა წარმოედგინათ დღგ-ს გათვალისწინებით;

⁴. შესრულებულ სამუშაოებზე არ არის წარმოდგენილი დღგ - ს ა/ფ - ბი;

⁵. შპს „COMFORT SERVICE“ - მა 4.9 ათასი ლარი, ი/შ „თარაშ ემხვარმა“ – 1.1 ათასი ლარი;

10. მატერიალურად პასუხისმგებელი პირების შეცვლისას არ არის ჩატარებული ინვენტარიზაციები და მათ შორის არ გაფორმებულა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები;

11. ელექტონულ პროგრამა „ERP“-ში მიქცეული და განსაკარგავად გადმოცემული ქონების ნაშთები არ ასახავს რეალობას, კერძოდ ნაშთებში ირიცხება ისეთი საქონელი, რომლის განკარგვა⁶ მომხდარია წინა წლებში.

გამოვლენილი გარემოებები შესაბამისობასთან დაკავშირებით

1. მომსახურების სააგენტოს ხარჯთაღრიცხვის გეგმა, საკასო და ფაქტობრივი ხარჯი

სააგენტოს 2012 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებული გეგმა განსაზღვრული იყო 5,183.0 ათასი ლარის ოდენობით. წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების⁷ შედეგად, დაზუსტებულმა ხარჯთაღრიცხვამ 4,970.0 ათასი ლარი შეადგინა.

აუდიტით დადგინდა, რომ თავდაპირველ დამტკიცებულ გეგმაში შეტანილი იყო ისეთი ხარჯები, რომლებიც საერთოდ არ გაწეულა, ან გაწეული იქნა გეგმით გათვალისწინებულზე გაცილებით ნაკლები ოდენობით, რაც ბიუჯეტის არასათანადო დაგეგმვაზე მიუთითებს. კერძოდ:

ხარჯთაღრიცხვის გეგმით გათვალისწინებული „გაყვანილობების და დანადგარების შენახვისა და შეკეთების“ - 9.0 ათასი ლარის ხარჯები 2012 წლის სექტემბერში მთლიანად ამოღებული და გადატანილი იქნა „არაფინანსური აქტივების“ მუხლში⁸; „საკონსულტაციო მომსახურებაზე (მარკეტინგული კვლევა, თარგმნა)“ გათვალისწინებული 38.0 ათასი ლარიდან - 36.0 ათასი ლარი გადატანილია „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების სხვა დანარჩენი ხარჯი“-ს მუხლში⁹, 1.7 ათასი ლარი პრემიის მუხლში¹⁰, ხოლო დარჩენილი 300 ლარიდანაც

⁶ . ინტერნეტ-აუქციონით, მაღაზიით, უსასყიდლოდ გადაცემა;

⁷ . 6-ჯერ;

⁸ . 20.09.2012;

⁹ . 02.07.2012;

¹⁰ . 11.12.2012;

ხარჯი არ გაწეულა. ასევე, საერთოდ არ გახარჯულა ფინანსური აუდიტის მომსახურების გეგმით გათვალისწინებული 10.0 ათასი ლარი.

თავდაპირველ გეგმაში მოგების და ქონების გადასახადის ხარჯი სულ შეადგენდა 170.0 ათას ლარს, საიდანაც ხარჯთაღრიცხვაში¹¹ განხორციელებული ცვლილების შემდეგ 100.0 ათასი ლარი გადატანილია დღგ-ს გადასახადში, ხოლო აგვისტოს თვის¹² ცვლილებით შემცირებულია დღგ-ს და რეკლამის ხარჯები¹³, შესაბამისად 200.0 ათასი ლარი და 135.4 ათასი ლარი და გადატანილ იქნა შრომის ანაზღაურების მუხლში, საიდანაც 96.1 ათასი ლარი დაემატა ხელფასების, ხოლო 239.3 ათასი ლარი - პრემიის ქვემუხლს. ამასთან 2012 წლის თავდაპირველი გეგმით, რეკლამის ხარჯებისათვის გათვალისწინებული იყო 332.9 ათასი ლარი, რომელიც წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად შემცირდა 318.8 ათასი ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ 14.1 ათასი ლარი შეადგინა, შეფასება, ექსპერტიზის ხარჯების გეგმა შემცირებულია 115.0 ათასი ლარით¹⁴. შემცირებული თანხის უმეტესი ნაწილი მიიმართა შრომის ანაზღაურების მუხლში პრემიების ზრდაზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, თავდაპირველ ხარჯთაღრიცხვაში არასწორად (მუხლით) იყო დაგეგმილი ვებგვერდის შეძენაზე განკუთვნილი სახსრები. კერძოდ, ფინანსთა სამინისტროდან¹⁵ მიღებული თანხმობის საფუძველზე¹⁶, საქონელი და მომსახურების მუხლიდან არაფინანსურ აქტივების მუხლში გადატანილია 21.8 ათასი ლარი, რაც სააგენტოს წერილზე დართული განმარტებითი ბარათის თანახმად, განპირობებული იყო ახალი ვებგვერდის (ინტერნეტ საიტის) შექმნის საჭიროებით. აღსანიშნავია, რომ ვებსაიტი წარმოადგენს არამატერიალურ ძირითად აქტივს და შესაბამისად, თავიდანვე დაგეგმილი უნდა ყოფილიყო აღნიშნული მუხლით¹⁷. რაც ასევე ბიუჯეტის არასათანადო დაგეგმვაზე მიუთითებს.

წლის განმავლობაში ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, შრომის ანაზღაურების მუხლი ჯამში გაზრდილია 677.3 ათასი ლარით, მათ შორის ხელფასები - 147.3 ათასი ლარით, ხოლო პრემია - 530.0 ათასი ლარით .

2012 წელს სააგენტოში შრომის ანაზღაურებაზე საკასო ხარჯმა სულ შეადგინა 1,958.5 ათასი ლარი, აქედან ხელფასის სახით გაცემულია 1,136.9 ათასი ლარი (58%),

¹¹ . 21.03.2012;

¹² . 03.08.2012;

¹³ . 135.4 ათასი ლარი.

¹⁴ . თავდაპირველი გეგმა - 160 ათასი ლარი;

¹⁵ . N50544, 21.03.2012;

¹⁶ .სააგენტოს წერილის N19 – 01/731, 2103.2012. საპასუხო;

¹⁷ .სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები (311322): აღნიშნული კატეგორია მოიცავს:..... კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა. აღნიშნული ითვალისწინებს პროგრამებს, მათ აღწერილობებსა და დამხმარე მასალებს, როგორც სისტემური, ასევე გამოყენებითი პროგრამებისათვის, რომელთა მოხმარებაც ერთ წელზე მეტი ხანგრძლივობით არის მოსალოდნელი; აღნიშნული ასევე მოიცავს ფართო მონაცემთა ბაზის შემუშავებას ან შესყიდვას;

ხოლო პრემიის სახით 821.6 ათასი ლარი (42%). იყო შემთხვევები, როდესაც ზოგ თანამშრომლებზე პრემია გაიცემოდა ხელფასზე მეტი ოდენობით, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში გაცემული პრემია¹⁸ ხელფასის 200%-ს შეადგენდა.

სააგენტოს 2013 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებული გეგმა განსაზღვრული იყო სულ 4,910.4 ათასი ლარის ოდენობით. წლის განმავლობაში ხარჯთაღრიცხვაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად¹⁹ დაზუსტებულმა ხარჯთაღრიცხვამ შეადგინა 5,008.9 ათასი ლარი.

2013 წლის თავდაპირველ დამტკიცებულ გეგმაშიც ასევე შეტანილი იყო ისეთი ხარჯები, რომელიც საერთოდ არ გაწეულა, რაც ბიუჯეტის არასათანადო დაგეგმვაზე მიუთითებს. მაგალითად 2013 წლის 17 მაისს ხარჯთაღრიცხვიდან მთლიანად ამოღებულია „რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის შეძენის ხარჯები“ - 5.0 ათასი ლარი, „ფინანსური აუდიტის ხარჯები“ - 20.0 ათასი ლარი და „არამატერიალური აქტივების“ მუხლიდან 56.0 ათასი ლარი. განხორციელებული ცვლილების²⁰ შედეგად პრემიის მუხლიდან დანამატის მუხლში გადატანილია 107.0 ათასი ლარი, თუმცა აუდიტის ჯგუფისათვის ვერ იქნა წარმოდგენილი რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტი (ბრძანება) დანამატის კონკრეტულ პირებზე დაწესების თაობაზე. აღნიშნული დანამატის თანხა 12 ივნისის ხარჯთაღრიცხვის ცვლილებით ისევ გადატანილი იქნა პრემიის მუხლში.

ხარჯთაღრიცხვის თანახმად, შრომის ანაზღაურების მუხლი თავდაპირველ გეგმასთან²¹ შედარებით სულ გაზრდილია 448.3 ათასი ლარით, აქედან ხელფასი - 93.3 ათასი ლარით, ხოლო პრემიების ქვემუხლი 356.0 ათასი ლარით.

2013 წელს სააგენტოში შრომის ანაზღაურებაზე საკასო ხარჯმა სულ შეადგინა 2,776.8 ათასი ლარი, აქედან ხელფასის სახით - 1,720.8 ათასი ლარი (62%), ხოლო პრემიის სახით - 1,056.0 ათასი ლარი (38%). იყო შემთხვევები, როდესაც სააგენტოს რიგ თანამშრომლებზე გაიცემოდა ხელფასის ოდენობის და ხელფასზე მეტი ოდენობის პრემია, ხოლო დეკემბერში სააგენტოს თანამშრომელზე გაცემულია პრემია ხელფასის 367% - ის ოდენობით.

ყოველთვიურად პრემიები ძირითადად გაიცემოდა სააგენტოს დირექტორზე (2013 წელს), სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილეებზე, სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებზე (სამსახურის უფროსებზე), მათ მოადგილეებზე და განყოფილების უფროსებზე. აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში ყოველთვიურად მათზე გაცემული პრემიების ოდენობა ხელფასის 50% -

¹⁸ . 2012 წლის მარტის თვეში;

¹⁹ . 7 შემთხვევა.

²⁰ .10.05.2013;

²¹ . 2333 ათასი ლარი;

დან 367% - მდე შეადგენდა. 2012 წელს სულ გაცემული პრემიიდან ზემოაღნიშნულ პირებზე გაცემულია 337,0 ათასი ლარი (41%), ხოლო 2013 წელს 472.4 ათასი ლარი (45%), 2012 წელს აღნიშნული პირების ხვედრითი წილი სააგენტოს მთლიან თანამშრომელთა 22,2% - ს შეადგენს²², ხოლო 2013 წელს 17,1% - ს.

მიზანშეწონილი იქნება სააგენტომ ბიუჯეტის დაგეგმვისას გაითვალისწინოს გასაწევი ხარჯების აუცილებლობა, ხოლო მასში ცვლილებები განხორციელდეს სააგენტოსათვის მნიშვნელოვანი ხარჯების დასაფინანსებლად.

1.1 ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეკეთებაზე და ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯები

ბალანსზე რიცხული ავტომანქანების შეკეთებაზე და ტექნიკური მომსახურების შესყიდვაზე სააგენტოსა და შპს „ცენტრ ჰაუს“ შორის 2012-2013 წლებში, გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე გაწეული მომსახურების ღირებულება შესაბამისად 14.1 ათას ლარს და 24.2 ათას ლარს შეადგენდა.

ხელშეკრულებების პირობებით, სააგენტოს ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებების რემონტთან დაკავშირებით შედგენილ დეფექტურ, სამუშაოს შესრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტებს სააგენტოს მხრიდან ხელს აწერდა მხოლოდ სააგენტოს ადმინისტრაციული სამსახურის ლოჯისტიკის განყოფილების უფროსი. სატრანსპორტო საშუალებათა შეკეთების რეალობასთან დაკავშირებული რისკების შესამცირებლად მიზანშეწონილია ზემოხსენებული აქტები ხელმოწერილი იქნეს იმ პირთა მიერაც, რომლებზეც მიმაგრებულია აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებები.

1.2 წარმომადგენლობითი ხარჯები

მნიშვნელოვანი ხარვეზებით ხასიათდება აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში სარესტორნო მომსახურებაზე სააგენტოს მიერ გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების უმრავლესობა. კერძოდ წარმოდგენილი დოკუმენტებით²³ შეუძლებელია მოწვეული სტუმრების იდენტიფიცირება და ზოგ შემთხვევაში რაოდენობა. ასეთმა ხარჯმა 2012 წელს შეადგენდა 11.4 ათასი ლარი, ხოლო 2013 წელს 12.5 ათასი ლარი.

²². მაქსიმალური.

²³. მენიუ, მიღება ჩაბარების აქტი;

მაგალითად, 2012-2013 წლებში სამჯერ აღინიშნა სააგენტოს ელექტრონული აუქციონის ვებ პორტალის (www.eauction.ge) იუბილე და ფურშეტისა და სადილის მოწყობაზე გახარჯულია 13.8 ათასი ლარი.

სააგენტოს 2012 წლის სამი კვარტლის გაწეული საქმიანობის ანგარიშის წარდგენასთან დაკავშირებით, სააგენტოსა და შპს „მრავალძალს“ შორის 2012 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით²⁴ 40 კაცზე წვეულების ორგანიზებისათვის გახარჯულია 1,608 ლარი, ხოლო 2012 წლის სააგენტოს წლიური ანგარიშის პრეზენტაციასთან დაკავშირებით, 2012 წლის 20 დეკემბერს შპს „სენატთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე²⁵, წვეულების ორგანიზებისა და სარესტორნო მომსახურებისათვის გახარჯულია 6,489 ლარი²⁶. ამ უკანასკნელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში წვეულებაში მონაწილეთა რაოდენობაც კი არ არის განსაზღვრული. სულ ორივე შემთხვევაში გახარჯულია 8,097 ლარი.

ქ.ფოთში სააგენტოს სავაჭრო ობიექტის გახსნასთან დაკავშირებით მოწვეული სტუმრებისათვის გამართული ოფიციალური სადილის ღირებულებამ სააგენტოსა და შპს „იმერეთი 2011“-ს შორის 2013 წლის 14 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად²⁷ შეადგინა 792 ლარი. წარმოდგენილ დოკუმენტებში არ არის მითითებული სტუმართა რაოდენობა. მომსახურების მიწოდების ადგილია ზესტაფონის რაიონი სოფელი ძირულა. შპს „დი ფონ“-თან 2013 წლის 1 და 16 ოქტომბრს გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად, ფინანსთა სამინისტროს სსიპ-ებს შორის შემდგარი შეხვედრის შემდეგ გამართული ოფიციალური სადილისა და სააგენტოს დადამღვის სამსახურის შექმნასთან დაკავშირებით გამართული ოფიციალური ვახშამის ღირებულის სახით სარესტორნო მომსახურებაზე გახარჯულია სულ 1,178 ლარი. უნდა აღინიშნოს რომ დღემდე სააგენტოში დადამღვის სამსახური შექმნილი არ არის. ორივე შემთხვევაში მომსახურების მიწოდების ადგილია: დუშეთის რაიონი, სოფ. აბანოსხევი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი დოკუმენტებით შეუძლებელია მოწვეულ სტუმართა იდენტიფიცირება, ზოგ შემთხვევაში სტუმართა რაოდენობა, ასევე დაუსაბუთებელია მნიშვნელოვანი სარესტორნო ხარჯების გაწევის მიზანშეწონილობა.

მიზანშეწონილი იქნება სააგენტომ სარესტორნო მომსახურება განახორციელოს სათანადო დასაბუთების საფუძველზე, კერძოდ ხარჯის დამადასტურებელ სხვა

²⁴ . N150;

²⁵ . N177;

²⁶ . წვეულების ორგანიზება -1,993 ლარი, რესტორნის მომსახურება - 4,496 ლარი.

²⁷ . N68;

დოკუმენტებთან ერთად, შესაბამის დოკუმენტში ასახოს სარესტორნო მომსახურების მიზნობრიობა და მოწვეულ სტუმართა რაოდენობა.

1.3 ქონების გადაზიდვაზე გაწეული ხარჯები

მომსახურების სააგენტოსა და შპს „ტრანს სერვისს“ შორის 2012–2013 წლებში გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში ტვირთების გადაზიდვის მომსახურების შესყიდვაზე სულ გაწეულია 111.9 ათასი ლარის ხარჯი²⁸.

აღნიშნული საკითხის აუდიტით გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევები და მნიშვნელოვანი რისკები, კერძოდ:

- ხელშეკრულების ინსპექტირება და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიწოდებული მომსახურების მიღება დავალებული ჰქონდა მხოლოდ ერთ პიროვნებას²⁹;
- ორივე შემთხვევაში, როგორც სატრანსპორტო კომპანიაზე, ასევე სააგენტოს შესაბამისი სამსახურის მიერ მიქცეული ქონების გადაზიდვაზე მოთხოვნა (შეტყობინება) ხდებოდა სიტყვიერად და არა წერილობითი ფორმით;
- სატრანსპორტო მომსახურების ფარგლებში გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით გაურკვეველია თუ რომელი დოკუმენტის აღსრულების (დადგენილება, განჩინება, გადაწყვეტილება ან სხვა) საფუძველზე განხორციელდა ქონების გადაზიდვა, რომელიც დადასტურებული იქნებოდა შესაბამისი მატერიალურად პასუხისმგებელი პირისგან, ვისაც ჩაბარდა აღნიშნული ქონება;
- უმეტეს შემთხვევებში ვერ დგინდება გადაზიდული ქონების მოცულობა (რაოდენობა, წონა) და მუშების მიერ ნამუშევარი საათების რაოდენობა, რამდენად ადეკვატური იყო ტვირთის მახასიათებლებთან (დასახელება, მოცულობა).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიერ მუშებით მომსახურებაზე 2012–2013 წლებში გახარჯულ 47.3 ათას ლარზე³⁰ გაფორმებულ მიღება - ჩაბარების აქტებით შეუძლებელია გონივრული რწმუნების მიღება გახარჯული თანხების მიზნობრიობაზე.

სატრანსპორტო გადაზიდვებზე და მუშებით მომსახურებაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა შემდეგი:

ადგილი აქვს შემთხვევებს, როდესაც კონტეინერების გადაზიდვისას ერთ შემთხვევაში გამოყენებულია მუშების მომსახურება, ხოლო მეორე შემთხვევაში არა.

²⁸ . 2012 წელი - 69.2 ათასი ლარი, 2013 წელი - 42.7 ათასი ლარი;

²⁹ . ა ჩხარტიშვილი.

³⁰ . 2012 წელი - 32.2 ათასი ლარი, 2013 წელი - 15.2 ათასი ლარი;

თანდართულ დოკუმენტებში კი მითითებული არ არის, თუ რა სახის ტვირთი იმყოფებოდა კონტეინერებში, მათი წონა, რაოდენობა და რა კონკრეტული სამუშაო შეასრულეს მუშებმა. მაგალითად:

შესრულებული სამუშაოს აქტების თანახმად, 2012 წლის 4 აპრილს და 16-17 მაისს³¹ ბათუმიდან სამტრედიაში ამწით აღჭურვილი სატვირთო მანქანით გადაზიდულია კონტეინერები. პირველ შემთხვევაში მუშებით მომსახურება გამოყენებული არ არის, ხოლო მეორე შემთხვევაში შესრულებული სამუშაოს აქტში „ბათუმი სამტრედია კონტეინერის დატვირთვა დაცლა“-ზე მუშებით მომსახურების დრო შეადგენდა 56 საათს, ხოლო ღირებულება - 560 ლარს. ანალოგიურად, შესრულებული სამუშაოს აქტების თანახმად, 2012 წლის 1-2 და 8 ივნისს და 14 აგვისტოს³² ბათუმიდან სამტრედიაში ამწით აღჭურვილი სატვირთო მანქანით გადაზიდულია კონტეინერები. პირველ შემთხვევაში³³ შესრულებული სამუშაოს აქტის თანახმად „ბათუმი სამტრედია კონტეინერის დატვირთვა დაცლა“-ზე მუშებით მომსახურების დრო შეადგენს 90 საათს, ხოლო ღირებულება 900 ლარს. მეორე შემთხვევაში მუშებით მომსახურება გამოყენებული არ არის.

2013 წლის 15 და 17 აპრილს³⁴ ამწით აღჭურვილი სატვირთო მანქანით თეთრიწყაროდან და ფოთიდან, მუხიანისა და სამტრედიის საწყობებში „კამაზი“-სა და „კონტეინერი“-ს გადაზიდვის მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 954 ლარი, ხოლო 77 საათი მუშებით მომსახურების - 693 ლარი. ანალოგიურად გაურკვეველია თუ რა სახის ტვირთი იმყოფებოდა კონტეინერში, მათი წონა, რაოდენობა და რა კონკრეტული სამუშაო შეასრულეს მუშებმა.

2013 წლის თებერვალში გაფორმებული აქტის³⁵ თანახმად, გაწეული მომსახურების ღირებულება სულ შეადგენდა 2,672 ლარს. მათ შორის: 2013 წლის 1 და 4 თებერვალს ბათუმიდან და ფოთიდან სააგენტოს სამტრედიის საწყობში შპს „ტრანს სერვისის“ კუთვნილი ამწით აღჭურვილი სატვირთო მანქანით, „მიკროავტობუსი“-სა და „კონტეინერი“-ს გადაზიდვის მომსახურების ღირებულება შეადგენდა³⁶ 1,214 ლარს, ხოლო 4 და 12 თებერვალს მუხიანის საწყობში 162 საათი მუშებით მომსახურების ღირებულება - 1,458 ლარს. თუმცა, რა კავშირშია ბათუმიდან და ფოთიდან, სამტრედიის საწყობში გადაზიდულ ქონებასთან მუხიანის საწყობში მუშებით 162 საათი მომსახურება, წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დგინდება.

³¹ . აქტი N4 და N6;

³² . აქტი N7 და N12;

³³ . ივნისი;

³⁴ . შესრულებული სამუშაოს აქტი N4.

³⁵ . აქტი N2;

³⁶ . $751.40 + 462.40 = 1214$;

არის შემთხვევა, როდესაც გადაზიდვები შესრულებული არ არის, ხოლო მუშებით მომსახურება გაწეულია. კერძოდ, 2012 წლის დეკემბრის შესრულებული სამუშაოს აქტით³⁷ დაფიქსირებულია 165 საათი მუშების მომსახურება (საწყობის დალაგება, დაცლა, დატვირთვა), რომლის ღირებულება 1,650 ლარს შეადგენდა. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დგინდება სად, რომელ საწყობში ან რა ტვირთის დაცლა-დატვირთვა განხორციელდა.

უმეტეს შემთხვევებში წარმოდგენილ დოკუმენტებში დაფიქსირებული არ არის მუშების რაოდენობა და ტვირთის მოცულობა. კერძოდ:

2012 წლის 8-21 ოქტომბერს³⁸ საქართველოს პარლამენტის შენობიდან (თბილისი) ავჭალის საწყობში სპეცტექნიკის მეშვეობით გადაზიდული ავეჯის მუშებით მომსახურება შეადგენდა 700 საათს, ღირებულებით - 7.0 ათასი ლარი, ხოლო დეკემბერში³⁹ ბათუმიდან სამტრედიის საწყობში, გენერატორების და ქ. თბილისში, ენუქიძის ქუჩიდან მუხიანის საწყობში ხე - ტყის მასალის გადაზიდვაზე მუშების მომსახურება 600 საათს, ღირებულებით - 6.0 ათასი ლარი.

2013 წლის 21-23 მარტს ამწით აღჭურვილი მანქანით გლდანის ციხის მიმდებარე ტერიტორიიდან მუხიანის საწყობამდე - ანძის კონსტრუქციებისა და კაბელის გადაზიდვის მოსახურების ღირებულება 3,600 ლარს შეადგენდა⁴⁰, ხოლო სატვირთო მანქანით ავეჯის, სხვადასხვა ინვენტარის გადაზიდვის მომსახურების ღირებულება 1,225 ლარს⁴¹. აქტის თანახმად, სამ დღეში 300 საათი მუშებით მომსახურების ღირებულება შეადგენდა 2,700 ლარს.

2013 წლის მაისის თვეში⁴² გადაზიდვის ღირებულება შეადგენდა 5,490 ლარს. კერძოდ, 2013 წლის 16 და 17 მაისს ისნის სამხედრო ჰოსპიტალიდან მუხიანის საწყობამდე ამწით აღჭურვილი სატვირთო ავტომანქანით „სამშენებლო და სხვადასხვა მასალების“ გადაზიდვის მომსახურების ღირებულება - 1,575 ლარს⁴³, ხოლო 435 საათი მუშებით მომსახურების ღირებულება - 3,915 ლარს.

მიზანშეწონილი იქნება ქონების გადაზიდვაზე სატრანსპორტო მომსახურება განხორციელდეს შესაბამისი სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სადაც მითითებული იქნება თუ რომელი დოკუმენტის აღსრულება (დადგენილება, განჩინება, გადაწყვეტილება ან სხვა) ხორციელდება. შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარება და ინსპექტირება განახორციელოს სხვადასხვა პიროვნებებმა.

³⁷ . აქტი N5;

³⁸ . აქტი N 1;

³⁹ . N4 აქტი;

⁴⁰ . 800 კილომეტრი;

⁴¹ . 350 კილომეტრი.

⁴² . შესრულებული სამუშაოს აქტი N5;

⁴³ . 350 კილომეტრი;

1.4 გამოუყენებელი ძირითადი აქტივი

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის 2013 წლის 27 ივნისის ბრძანებით⁴⁴, მომსახურების სააგენტოს უსასყიდლოდ, უვადოდ, სარგებლობის უფლებით გადმოეცა⁴⁵ სახაზინო სამსახურის ბალანსზე რიცხული ავტომანქანა BMW X5 - საწყისი საბალანსო ღირებულებით 42.0 ათასი ლარი, ნარჩენი ღირებულება 32.6 ათასი ლარი, ავტომანქანის აუდიო სისტემა⁴⁶ საწყისი საბალანსო ღირებულებით 1.8 ათასი ლარი, ნარჩენი საბალანსო ღირებულება 1.6 ათასი ლარი.

მომსახურების სააგენტოს მოწოდებული ინფორმაციით სახაზინო სამსახურის მიერ გადმოცემულ მანქანაზე არ ყოფილა განსაზღვრული საწვავის ლიმიტი, არ მომხდარა საწვავის გაცემა/ ჩასხმა, ავტომანქანა არ არის მიმაგრებული არც ერთ თანამშრომელზე და დღემდე გაჩერებულ მდგომარეობაში განთავსებულია მუხიანის ბაზის ტერიტორიაზე. ადგილი აქვს სახელმწიფო ქონების არაეფექტიან გამოყენებას.

მიზანშეწონილი იქნება სააგენტომ გონივრულ ვადაში უზრუნველყოს აღნიშნული გამოუყენებელი აქტივის შემდგომი განკარგვა.

1.5 მომსახურების სააგენტოს თანამშრომელთა მივლინებებზე გაწეული ხარჯები

გენერალური დირექტორის 2012 წლის 24 მაისის ბრძანებით⁴⁷ სამტრედიასა და აჭარის რეგიონში მივლინებულ იქნენ სააგენტოს ორი თანამშრომელი სასტუმრო „შერატონ ბათუმში“ 3 დღის ცხოვრების ხარჯმა შეადგინა 949 ლარი.

მომსახურების სააგენტოს გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 9 ივლისის ბრძანებით⁴⁸ სამტრედიაში, ფოთსა და ბათუმში მივლინებულ იქნენ სააგენტოს ორი თანამშრომელი ხარჯად აღიარებულია და ანაზღაურებულია სასტუმრო „Radisson Blu Hotel“-ში ორი დღის ცხოვრების ღირებულება 1,4 ათასი ლარის ოდენობით.

1.6 ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე საწვავის ჩამოწერა

აუდიტის დაწყებისათვის სააგენტომ ვერ წარმოადინა რაიმე დოკუმენტი სატრანსპორტო საშუალებებზე საწვავის ჩამოწერის ნორმებთან დაკავშირებით. სააგენტოს დაკვეთით, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის

⁴⁴ . N25;

⁴⁵ . საფუძველი: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს წერილი N19-05/1197 25 ივნისი 2013 წელი;

⁴⁶ . HL-8786BG;

⁴⁷ . N8-211;

⁴⁸ . N 8-274;

ეროვნული ბიუროს მიერ, 2014 წლის 8 დეკემბერს გაცემული ექსპერტიზის დასკვნის⁴⁹ მიხედვით, სააგენტოზე რიცხულ ზოგიერთ ავტომანქანებზე საწვავის ხარჯვის ფაქტობრივი რაოდენობები (ნორმები)⁵⁰ განსხვავდება სააგენტოს მიერ 2012–2013 წლებში გამოყენებულ ნორმებთან, რომლის მიხედვითაც წარმოებდა საწვავის ჩამოწერა, კერძოდ:

სატრანსპორტო საშუალების მოდელი	მიმგარება	სახ N	საწ. სახე ობა	საწ. ხარჯი 100კმ ექსპერტი ზის დასკვნის მიხედვი თ	საწ. ხარჯი 100კმ მომსახურ ების სააგენტო	ჩასხმუ ლი საწვავ ი	გავლი ლი მანძილ ი საწვავი ს ჩამოწე რის აქტები ს მიხედვ ით	გავლილ ი კმ-ის მიხედვი თ გახარჯ ული საწვავი	სხვა ობა
TOYOTA LANDCRUISER CL15	გენერალური დირექტორი	ZDF- 012	ბენზ.	20	22	18,366 ⁵¹	87,230	17,446	920
FORD TRANSIT	მორიგე	ZFZ- 212	დიზ.	15	16	4,456	29,492	4,424	32

ცხრილში დაფიქსირებულ ორ სატრანსპორტო საშუალებაზე, ექსპერტიზის დასკვნით დადგენილ საწვავის ფაქტობრივ ხარჯთან⁵² შედარებით, 2012 – 2013 წლებში ზედმეტადაა ჩამოწერილი 920 ლიტრი ბენზინი საშუალო ღირებულებით 1,691 ლარი და დიზელის საწვავი 32 ლიტრი 59 ლარი.

გარდა ამისა, გამოვლინდა შემთხვევები როდესაც სააგენტოში დადგენილი საწვავის ხარჯვის ნორმების მიხედვით⁵³, ჩასხმული საწვავის რაოდენობიდან გამომდინარე გავლილი მანძილი არ ემთხვევა საწვავის ხარჯვის დოკუმენტებში

⁴⁹ . N006712914;

⁵⁰ . საწვავის ხარჯი 100კმ - მანძილზე ქალაქში;

⁵¹ . მათ შორის ტალონები და ბარათით ჩასხმები. დაჯამებულია მონაცემები ლუკოილის ამონაწერების და ბუღალტერიის მონაცემებიდან;

⁵² . საწვავის ხარჯი 100კმ - მანძილზე ქალაქში.

⁵³ . იგივე ნორმებია ექსპერტიზის დასკვნით;

დაფიქსირებულ გავლილ მანძილს⁵⁴, რის შედეგადაც ზედმეტადაა ჩამოწერილი 292 ლიტრი დიზელი საშუალოდ 511 ლარის და 238 ლიტრი ბენზინი საშუალოდ 416 ლარის.

სატრანსპორტო საშუალების მოდელი	მიმადგერბა	სახ N	საწ. სახეობა	საწ. ხარჯი 100კმ	ჩასხმული საწვავი	რამდენი კმ უნდა გაეწვოდეს	გავლილი მანძილი საწვავის ჩამოწერის აქტების მიხედვით	სხვაობა (კმ)	სხვაობა (ლიტრი)
Man Le 140C	მორიგე	KJK-120	დიზ	18	3,988	22,156	20,536	1620	292
Hyundai Accent	მორიგე	CJC-481	ბენზ.	9	5,285	58,722	56,080	2642	238

სააგენტოს მიერ დაწესებულია საწვავის ხარჯვის ყოველთვიური ლიმიტები თითოეული ავტომანქანისთვის, მიუხედავად ამისა ა/მ TOYOTA LANDCRUISER LC15 სახ. ნომრით NZDF 012-ზე 2012-2013 წლებში ფიქსირდება ლიმიტს ზემოთ ხარჯვა. გადახარჯვა გამოვლინდა იმ შემთხვევებში როდესაც მივლინების პერიოდში ბრძანებით გაცემული საწვავის ოდენობის გახარჯვა⁵⁵ არ ხდებოდა სრულად და დარჩენილი საწვავი ემატებოდა სააგენტოს მიერ დამტკიცებულ ყოველთვიურ ლიმიტს. სააუდიტო პერიოდში⁵⁶, სულ ცხრა შემთხვევაში ლიმიტს ზემოთ საწვავის გადახარჯვამ შეადგინა 660 ლიტრი ბენზინი - საშუალო ღირებულებით - 1,193 ლარი⁵⁷.

2013 წლის 23 ივლისის ბრძანებით⁵⁸, სააგენტოს სამი თანამშრომელი⁵⁹ მივლინებული იყვნენ სამტრედიის 2013 წლის 24 ივლისიდან 26 ივლისამდე პერიოდში ა/მ TOYOTA LANDCRUISER LC15 სახ. ნომერი N ZDF 012-ით. შპს “ლუკოილ ჯორჯიას” მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ 2013 წლის 25 ივლისს ზემოთ ხსენებულ ავტომანქანაში საწვავი ჩაისხა ქობულეთში აბაშიძის N14 განთავსებულ ავტოგასამართ სადგურში – 57 ლიტრი ბენზინი, შესაბამისად იკვეთება არამიზნობრივი ხარჯვის რისკი.

⁵⁴ . ნაკლებია დაფიქსირებული, ჩასხმული საწვავით უფრო მეტი მანძილი უნდა გაეწვოდეს;

⁵⁵ . რაც ემყარება საწვავის მომწოდებელი კომპანიების მიერ მოწოდებული ინფორმაციას, მივლინებაში მყოფი სატრანსპორტო საშუალებების საწვავის ჩასხმის შესახებ - ადგილმდებარეობისა და თარიღების მიხედვით;

⁵⁶ . 2012 წელს ბრძანებები N მ-057; N მ-123; N მ-134; N მ-249. 2013 წელს ბრძანებები N მ-119; N მ-174; N მ-274; N მ-534; N მ-535; N მ-603;

⁵⁷ . 2012 წელს - 190 ლიტრი ბენზინი საშუალო ღირებულებით 309.7 ლარი, 2013 წელს - 470 ლიტრი ბენზინი საშუალო ღირებულებით 883.6 ლარი;

⁵⁸ . N მ-328;

⁵⁹ . გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ზურაბ ახალკაციშვილი, გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი ქეთევან კიკნაძე და დამხმარე მოსამსახურე (მძღოლი) თამაზ ილაშვილი.

2012 წლის იანვარში 240 ლიტრი ბენზინი გაცემულია ტალონებით და გახარჯული საწვავის აღრიცხვის აქტში არაა ასახული.

საწვავის ტალონები უმეტეს შემთხვევა გაიცემოდა უწყისების გარეშე⁶⁰, ჩამოიწერებოდა პირდაპირ ხარჯში.

მიზანშეწონილი იქნება სააგენტომ საწვავის ჩამოწერა განახორციელოს ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი ნორმების შესაბამისად. თანამშრომელთა მივლინებების დროს, დამატებით გაცემული საწვავის ჩამოწერა განხორციელდეს ფაქტობრივად გავლილი მანძილის მიხედვით(არაუმეტეს ბრძანებით განსაზღვრული ოდენობისა).

2. ფინანსთა სამინისტროში წარადგენილი კვარტალური ანგარიშები

სააუდიტო პერიოდში, სააგენტოსთვის გადაცემული ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასების, განადგურების, განაწილების, რეალიზაციისა და ლიზინგის ფორმით გადაცემისათვის აუცილებელი ხარჯების დაფინანსების ერთ - ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების რეალიზაციისა და ლიზინგის ფორმით გადაცემის⁶¹ და 2013 წლის 10 მაისიდან განსაკარგავად გადაცემული ქონების პრივატიზების შედეგად ამონაგები⁶² თანხები, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული სააგენტოს წლიური ხარჯთაღრიცხვის მოცულობით.

სააგენტოს ყოველკვარტალური შემოსავლის მოცულობა განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული სააგენტოს წლიური ხარჯთაღრიცხვის ერთი მეოთხედის ოდენობით.

ქონების განკარგვასთან დაკავშირებული ხარჯების შეუფერხებლად დაფინანსების უზრუნველსაყოფად საქართველოს ფინანსთა მინისტრი წლიურ ხარჯთაღრიცხვასთან ერთად ამტკიცებს საბრუნავი სახსრების გარდამავალი ნაშთის მოცულობას ახალი საფინანსო წლისათვის, რომელიც მოცულობაც განისაზღვრება სააგენტოს წლიური დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის არა უმეტეს ერთი მეოთხედის მოცულობით.

სააგენტო ფინანსთა სამინისტროში წარადგენს კვარტალურ ანგარიშებს საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე, ხოლო მისი წარდგენიდან არა უგვიანეს 5 საბანკო დღეში უნდა უზრუნველყოს ბიუჯეტის კუთვნილი თანხების მიმართვა სახელმწიფო ბიუჯეტის „სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების“ ნაწილში(სახაზინო კოდი 3282).

⁶⁰ .2012 - 2013 წლებში;

⁶¹ . საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის N771 ბრძანება;

⁶² . საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 2 აგვისტო N310 ბრძანება.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია 2012 – 2013 წლებში სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების რეალიზაციისა და ლიზინგის ფორმით გადაცემის შედეგად ამონაგები თანხის განაწილების შესახებ ინფორმაცია:

#	დასახელება	2012	2013	სხვაობა
1	2	3	4	5
1	ბიუჯეტის კუთვნილი თანხის გარდამავალი ნაშთი	292,012	8,537	283,475
2	ქონების რეალიზაციისა და ლიზინგის ფორმით გადაცემის შედეგად ამონაგები თანხის ოდენობა	8,117,055	4,088,159	4,028,897
3	სააგენტოს დაფინანსება ამონაგები თანხიდან	3,611,936	3,550,272	61,664
4	"სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი აღსრულების საფასური	53,773	41,977	11,797
5	საბრუნავი სახსრების გარდამავალი ნაშთი			-
6	გადარიცხულია ბიუჯეტში (თანხა ლარებში)	4,734,821	460,137	4,274,684
7	დარიცხულია ბიუჯეტის სასარგებლოდ (2-3-4-5) (თანხა ლარებში)	4,451,346	495,910	3,955,436
8	ექვემდებარება ბიუჯეტში გადარიცხვას (7+1-6) (თანხა ლარებში)	8,537	44,310	- 35,773

ქონების რეალიზაციისა და ლიზინგის ფორმით გადაცემის შედეგად ამონაგები თანხების ოდენობაში, სააგენტოს ორივე წელს არასწორად (ზედმეტად) აქვს ასახული სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ნივთმტკიცებები ფულადი კუპიურების სახით სულ - 3,609. 5 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული ფულადი სახსრები არ წარმოადგენს ქონების რეალიზაციისა და ლიზინგის ფორმით გადაცემის შედეგად ამონაგებ თანხებს და სააგენტოს მოქმედი კანონმდებლობით მისი გამოყენების (გახარჯვის) უფლება არ აქვს. ამდენად, ამ თანხებს საერთოდ არ უნდა მიეღო მონაწილეობა გაანგარიშებაში და შესაბამისად ამონაგები თანხების ოდენობა გაზრდილია 2012 წელს - 3,453.5 და 2013 წელს 155.9 ათასი ლარით.

სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული(ნივთმტკიცებები) ფულადი(კუპიურების სახით) სახსრების ბიუჯეტში გადარიცხვის ზუსტი ოდენობის დადგენა, სააგენტოში არსებული აღრიცხვა - ანგარიშებიდან გამომდინარე შეუძლებელია, რამდენადაც ამ თანხების ბიუჯეტის „სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების“ ნაწილში(სახაზინო კოდი 3282) გადარიცხვა ხდება სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების რეალიზაციისა და ლიზინგის ფორმით გადაცემის და განსაკარგავად გადაცემული ქონების პრივატიზების შედეგად

ამონაგებ თანხებთან ერთად(ჯამურად) და შესაბამისად მისი გამოჯვანაც შეუძლებელია.

ასევე, ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია 2013 წლებში განსაკარგავად გადაცემული ქონების პრივატიზების შედეგად ამონაგები თანხის განაწილების შესახებ ინფორმაცია:

	დასახელება	თანხა
#	2	3
1	ბიუჯეტის კუთვნილი თანხის გარდამავალი ნაშთი	7,853
2	ქონების პრივატიზების შედეგად ამონაგები თანხის ოდენობა	1,522,795
3	სააგენტოს დაფინანსება ამონაგები თანხიდან	887,568
4	საბრუნავი სახსრების გარდამავალი ნაშთი	
5	გადარიცხულია ბიუჯეტში (თანხა ლარებში)	611,940
6	დარიცხულია ბიუჯეტის სასარგებლოდ (2-3-4-5) (თანხა ლარებში)	635,227
7	ექვემდებარება ბიუჯეტში გადარიცხვას (7+1-6) (თანხა ლარებში)	31,140

მიზანშეწონილი იქნება სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ფულადი კუპონების აღრიცხვისა და ანგარიშგების (ფინანსთა სამინისტროსათვის წარსადგენი) მოწესრიგების მიზნით, სააგენტომ წინადადებით მიმართოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის თაობაზე.

3. მომსახურების სააგენტოს მიერ განხორციელებული შესყიდვები

მომსახურების სააგენტოს 2012 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა შესყიდვების სააგენტოში წარდგენილი აქვს 2,145.0 ათასი ლარის ოდენობით, რომელშიც წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად⁶³ 1,765.0 ათას ლარამდე შემცირდა⁶⁴, ასევე 2013 წლის მომსახურების სააგენტოს შესყიდვების გეგმაც⁶⁵, ცვლილებების⁶⁶ შედეგად შემცირებულია 266.0 ათასი ლარით და საბოლოო გეგმამ 1,160.0 ათასი ლარი შეადგინა.

⁶³ . 8-ჯერ;

⁶⁴ . შემცირდა - 380 ათასი ლარით;

⁶⁵ . 1,426 ათასი ლარი;

⁶⁶ . 13-ჯერ.

2012-2013 წლები.

N	შესყიდვის საშუალება	ხელშეკრულები ს რაოდენობა		ხელშეკრულების ჯამური ღირებულება (ლარში)		% -ი მთლიანი ღირებულების		გადახდა (ლარში)	
		2012	2013	2012	2013	2012	2013	2012	2013
1	გამარტ. შესყიდვა	127	166	971,696	755,075	55,57%	72,11%	897,149	702,275
2	გამარტ. ელექტრ. ტენდერი	69	39	768,747	276,055	43,97%	26,36%	704,903	224,105
3	ელექტრონულ ი ტენდერი	1	1	8,053	16,055	0,46%	1,53%	8,053	15,475
4	სულ	200	206	1,748,49 5	1,047,18 5	100,00 %	100,00 %	1,610,10 6	941,855

აუდიტით დადგინდა, რომ სააგენტოს 2012-2013 წლების შესყიდვების თავდაპირველ დამტკიცებულ გეგმაში⁶⁷ შეტანილი იყო ისეთი საქონლისა და მოსახურების შესყიდვა, რომელიც სააგენტოსათვის აუცილებლობას არ წარმოადგენდა, და გამოთავისუფლებელი თანხები ძირითადად გადატანილ იქნა შრომის ანაზღაურების მუხლში.

ყოველივე ზემოაღნიშნული წინააღმდეგობაშია და არ შეესაბამება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს, რომლის თანახმად „შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა“, რაც სააგენტოს მიერ გათვალისწინებული არ იყო.

აუდიტით დადგინდა, რომ სააგენტოში სათანადო სამუშაოები⁶⁸ არ ტარდება შესყიდვის სავარაუდო ღირებულების დასადგენად⁶⁹, რაც დასტურდება მნიშვნელოვანი სხვაობებით ტენდერის გამოცხადების დროს შესყიდვის სავარაუდო ღირებულებასა და სახელშეკრულებო ღირებულებას შორის. კერძოდ: 2012 წელს

⁶⁷ . 30.12.2011 წ. N 2483 და 20.11.2012 წ. N 2452 ბრძანებები;

⁶⁸ . ბაზრის კვლევა;

⁶⁹ . „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის ე ქვეპუნქტი: პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და ზუსტი დეტალი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით ბაზრის გამოკვლევის შედეგები;

დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებების შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 57.8 ათას ლარს და 16.0 ათას ლარს შეადგენდა⁷⁰, ხოლო ტენდერის ჩატარების შედეგად სახელშეკრულებო ღირებულებები 32.0 ათას ლარს და 7.0 ათას ლარს, შესაბამისად სხვაობებმა შეადგინა 25.9 ათასი ლარი და 9.0 ათასი ლარი, 2012 წლის შენობის დასრულების სამუშაოებზე სხვაობამ 36.0 ათასი ლარი შეადგინა⁷¹, 2012 წლის ტვირთის გადაზიდვის მომსახურებებზე - 19.4 ათასი ლარი⁷².

სააგენტოს მიერ სააუდიტო პერიოდში გამოცხადებული ოთხი გამარტივებული ელექტრონული ტენდერის, რომელიც შეეხებოდა შენობის დასრულების სამუშაოებს⁷³ - საერთო ღირებულებით 100.5 ათასი ლარი და ოთხი გამარტივებული ელექტრონული ტენდერის, ავეჯის შესყიდვისათან დაკავშირებით⁷⁴ - საერთო ღირებულებით 150.8 ათასი ლარი, სააგენტომ ვერ წარმოადგინა საქონლის, მომსახურების სავარაუდო ღირებულებასთან დაკავშირებული წინასწარი სამუშაოები, კვლევები, ხარჯთაღრიცხვები.

ყოველივე ზემოაღნიშნულით უგულებელყოფილია სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის მიზანი - სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა.

სააგენტოს მიერ 2012 წლის 5 იანვარს⁷⁵ და 6 ივნისს⁷⁶ გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერებში, დასუფთავება და სანიტარულ მომსახურებაში გამარჯვებულად გამოვლინდა შესაბამისად შპს „COMFORT SERVICE” - ი⁷⁷ და ი/მ „თარაშ ემზვარი”⁷⁸. ორივე შემთხვევაში პრეტენდენტებს სატენდერო წინადადება უნდა წარმოედგინათ დღგ-ს გათვალისწინებით. აუდიტით დადგინდა, რომ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული კომპანიები არ იყვნენ დღგ - ს გადამხდელები⁷⁹, შესაბამისად მათ ტენდერში მონაწილე სხვა პრეტენდენტებთან შედარებით ხელოვნურად შეექმნათ უპირატესობა და სააგენტოსგან ზედმეტად მიიღეს 6.0 ათასი ლარი⁸⁰.

სააუდიტო პერიოდში სააგენტომ განახორციელა ოთხი გამარტივებული შესყიდვა - ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაუმჯობესებული პარამეტრების

⁷⁰. SPA 120000279; SPA 120015769;

⁷¹. SPA 120024800 შესყიდვის სავარაუდო ღირებულება - 106 ათასი ლარი, ხოლო სახელშეკრულებო ღირებულება - 70 ათასი ლარი;

⁷². SPA 120027734 შესყიდვის სავარაუდო ღირებულება - 100 ათასი ლარი, სახელშეკრულებო ღირებულება - 80.6 ათასი ლარი;

⁷³. SPA120003950, SPA120008313, SPA120024800, SPA120026903;

⁷⁴. SPA120005334, SPA120005598, SPA120006650, SPA120026589.

⁷⁵. SPA120000279 - 57,790 ლარი;

⁷⁶. SPA120015769 - 16,000 ლარი;

⁷⁷. გაიმარჯვა 31,999 ლარით;

⁷⁸. გაიმარჯვა 6,999 ლარით;

⁷⁹. შესრულებულ სამუშაოებზე არ არის წარმოდგენილი დღგ - ს ა/ფ - ბი;

⁸⁰. შპს „COMFORT SERVICE” - მა 4.9 ათასი ლარი, ი/მ „თარაშ ემზვარმა” - 1.1 ათასი ლარი;

მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებით ჩანაცვლება⁸¹ - საერთო სახელშეკრულებო ღირებულებით 280.8 ათასი ლარი (ფასთა სხვაობა). სააგენტოს შეძლო მის ბალანსზე არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების აუქციონის საშუალებით გაყიდვა, რა დროსაც ვაჭრობის შედეგად შესაძლებელი იქნებოდა ავტომანქანების რენტაბელურად გაყიდვა და ახლის შეძენა ტენდერის საშუალებით, სადაც კონკურენციის პირობებში მოხდებოდა შესყიდვა. სააგენტომ ყოველგვარი წინასწარი ბაზრის კვლევის გარეშე გააფორმა ხელშეკრულება ერთ პირთან და მოახდინა ავტომანქანების ჩანაცვლება.

ამასთანავე სამი ხელშეკრულება დაიდო შუამავალ ფირმებთან⁸² (შპს “ავტოთრეიდ ინ” და ფ/პ “გიორგი ქოქოსაძე”) და არა სადილერო კომპანიასთან, რომლებიდანაც შეიძინა ავტომანქანები შუამავალმა და მიაწოდა სააგენტოს. აუდიტის ჯგუფის მიერ მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა ფასად იქნა შეძენილი შუამავალი ფირმის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რასთან დაკავშირებითაც პასუხი ვერ მივიღეთ.

ჩასანაცვლებელი ცხრა ავტოსატრანსპორტო საშუალების ნარჩენი საბალანსო ღირებულება შეადგენდა 59.4 ლარს, სააგენტოს მიერ როგორც კერძო ისე შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ ჩატარებული ექსპერტიზის შედეგად ზემოთ აღნიშნული ავტომანქანები ჩამოფასდა 30.3 ათასი ლარით და მათმა ღირებულებამ შეადგინა 29.1 ათასი ლარი.

მიზანშეწონილი იქნება ავტომანქანების შეცვლის აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარდეს ეფექტიანობის კვლევა ჩანაცვლებასა და ტენდერებით შესყიდვის განხორციელებასთან მიმართებით და დასაბუთებულად იქნას მიღებული გადაწყვეტილება შესყიდვის საშუალების შერჩევასთან დაკავშირებით; გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენებისას შესყიდვები განხორციელდეს უშუალოდ იმპორტიორი კომპანიების საშუალებით და არა შუამავალი კომპანიების მეშვეობით.

4. მომსახურების სააგენტო და შპს „რეგიონული განვითარების ფონდი“

2011 წლის 6 აპრილს, სსიპ „ფონდი ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ (ემ-სი-ჯი)-სა და სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, ემ-სი-ჯი -ის (MCG) შპს „საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდში“ 100%-იანი წილის მომსახურების სააგენტოსათვის უსასყიდლოდ გადმოცემის შესახებ (განხორციელდა ჩანაცვლება). ხელშეკრულების თანახმად რეგიონალური განვითარების ფონდი ჩამოყალიბებულია

⁸¹ . ხელშეკრულებები - N50, N82, N115, N186;

⁸². ხელშეკრულებები - N 50, N 82, N 186.

დელავერის შტატის კანონმდებლობის შესაბამისად და ამ მიზნით კომპაქტის ფარგლებში კორპორაციის მიერ განისაზღვრა ფონდის დაფინანსება 30.0 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. ფონდის წილის ღირებულება მისი (წილის) გადაცემის თარიღისათვის განისაზღვრა, როგორც კომპაქტის ვადის ამოწურვამდე ფონდის მიერ კომპაქტით განსაზღვრული თანხის გაცემის პროცედურების შესაბამისად განხორციელებული საწესდებო კაპიტალის შენატანების ჯამი (გარდა საბოლოო გადახდისა), რამაც 25,429,310.52 აშშ დოლარი, შესაბამისი კურსით⁸³ ეროვნულ ვალუტაში 42,960,276 ლარი შეადგენა, რაც 2011 წელს სააგენტოს ბალანსში ასახულია სხვა ფინანსური აქტივების სახით.

ხელშეკრულებით ფონდის ინვესტიციები 11.8 მილიონი აშშ დოლარის მოცულობით დამტკიცებულია ფონდის დირექტორთა საბჭოს მიერ. გარდა ამისა, საბოლოო გადახდის 4,570,689.47 აშშ დოლარის გადმორიცხვის შესახებ მიმდინარეობდა გადაწყვეტილების აღსრულება.

ხელშეკრულებით ფონდის ის თავისუფალი შემოსავლები, რომელიც გადარიცხებოდა წილის მიმღების ანგარიშზე, გამოყენებულ უნდა ყოფილიყო სასტიპენდიო პროგრამებზე - კომპაქტის მიზნების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე სააგენტოს დაევალა საქართველოს განათლების სამინისტროსთან გაეფორმებინა მომსახურების ხელშეკრულება, სადაც განმარტებული იქნებოდა სამინისტროს როლი სასტიპენდიო პროგრამის ადმინისტრირებაში, კონკრეტული პროცედურები და კრიტერიუმები უფლებამოსილი ბენეფიციარების შესარჩევად, აგრეთვე ამგვარი ბენეფიციარებისთვის სტიპენდიების/გრანტების მიცემის წესები⁸⁴.

2011 წლის 4 აგვისტოს საქართველოს განათლების სამინისტროსა და სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, სააგენტო გამოიყენებდა საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდის თანხებს, რათა უშუალოდ დაეფინანსებინა სტიპენდიები იმ მიმღებისათვის, რომლებიც შერჩეული იქნებოდნენ სამინისტროს მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პრინციპებისა და კრიტერიუმების შესაბამისად და აგრეთვე, აენაზღაურებინა სამინისტროს მიერ სტიპენდიების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ხარჯები⁸⁵.

ხელშეკრულებით მხარეები აცნობიერებენ, რომ სტიპენდიებითვის გასაცემი თანხების ხელმისაწვდომობა დამოკიდებული იქნებოდა საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდის მიერ მომსახურების სააგენტოსთვის თანხების გადარიცხვაზე ფონდის დირექტორთა საბჭოს ექსკლუზიური გადაწყვეტილების

⁸³ . 06.04.2011. - ისათვის, 1 აშშ დოლარი - 1.6894 ლარი;

⁸⁴ . მე - IV მუხლის მე - 3 ნაწილი და მე - VI მუხლის მე - 2 ნაწილი.

⁸⁵ . I მუხლის პირველი პუნქტი;

საფუძველზე. სავარაუდოდ თანხების ჩარიცხვა დაიწყებოდა 2012 წლის დასაწყისისათვის და გაგრძელდებოდა 2016 წლის ჩათვლით⁸⁶.

შესარჩევი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე სამინისტროს უნდა შეედგინა და მომსახურების სააგენტოსთვის უნდა წარედგინა სტიპენდიების მიმღებ პირთა სია. მომსახურების სააგენტოს შესაბამისი თანხა უნდა გამოეყო უშუალოდ სტიპენდიის მიმღებისათვის ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის მიმღები პირის სახელით⁸⁷.

ფაქტობრივად ფონდმა სააგენტოს სს „საქართველოს ბანკში“ გახსნილ⁸⁸ სავალუტო ანგარიშზე 2014 წლის 27 სექტემბრამდე სულ ჩარიცხა 4,899,890 აშშ დოლარი, მათ შორის: 2012 წელს 499,985 აშშ დოლარი, 2013 წელს 2,149,970 და 2014 წელს 2,249,935 აშშ დოლარი. მიუხედავად აღნიშნულისა, დღემდე სტუდენტების დაფინანსება არ განხორციელებულა და აღნიშნული თანხები 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხება სააგენტოს ანგარიშზე.

სააგენტოს წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შედგა რამოდენიმე შეხვედრა, ხელშეკრულების პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად განახორციელები ღონისძიებების დასახვის მიზნით - თუმცა პრაქტიკული ნაბიჯები არ გადადგმულა, რამდენადაც საქართველოში ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) მეორე კომპაქტთან დაკავშირებული პროცედურების წარმოების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 31 მაისის №441 ბრძანებულებით შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - „საქართველო“ (MCA – Georgia), რომელიც ასევე მიზნად ისახავს განათლების სფეროს ხელშეწყობას და რომლის მაკონტროლებელი ორგანოც ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროა, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, სააგენტოს მიერ მიღებული წილი, შესაბამისი პროცედურების დაცვით გადასცემოდა ამ ორგანიზაციას, აღნიშნულის თაობაზე მითითებულია კომპაქტშიც⁸⁹, თუმცა ამ მიმართულებითაც არაფერი განხორციელებულა და 2015 წლის 1 იანვრამდე 4,899,890 აშშ დოლარი განთავსებულია სს „საქართველოს ბანკში“ ყოველგვარი საპროცენტო სარგებლის გარეშე.

სს „საქართველოს ბანკსა“ და სააგენტოს შორის 2013 წლის 30 აპრილს გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად, იმავე წლის 4 იანვრიდან სავალუტე ანგარიშზე რიცხულ ნაშთს ერიცხებოდა საპროცენტო სარგებელი წლიური 2% - ის

⁸⁶. მე - III მუხლის მე - 2 პუნქტი;

⁸⁷. მე - III მუხლის მე - 3 პუნქტი;

⁸⁸ . GE33BG000000623031701USD.

⁸⁹ . 1. B. 3 a iii.

ოდენობით, 2013 წლის 30 ივლისიდან სარგებლის პროცენტი შემცირდა 1% - მდე, ხოლო 2014 წლის 14 მარტიდან სარგებლის დარიცხვაზე ბანკმა წერილობით უარი განაცხადა და საერთოდ შეწყვიტა სარგებლის დარიცხვა. სარგებლის სახით 2013 – 2014 წლებში სააგენტოს⁹⁰ სავალუტო ანგარიშზე ჩარიცხულია სულ 25,012 აშშ დოლარი.

სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად⁹¹, სს „საქართველოს ბანკის“ მიერ სააგენტოს სავალუტო ანგარიშზე რიცხულ ნაშთზე სარგებლის დარიცხვის შეწყვეტის შემდეგ, აღნიშნულთან დაკავშირებით სააგენტომ წერილობით მიმართა სხვა საბანკო დაწესებულებებს, კერძოდ: სს „ლიბერთი ბანკს“, სს „თიბისი ბანკს“ და სს „ბაზისბანკს“. სს „ლიბერთი ბანკისგან“ და სს „თიბისი ბანკისგან“ სააგენტომ წერილობით უარი მიიღო.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სს „ბაზისბანკი“, 2014 წლის 19 მარტს კურიერის მეშვეობით სააგენტოში გამოგზავნილი წერილით⁹², თანახმა იყო - დღის ბოლოს 1,000,000 (ერთიმილიონი) დოლარამდე არსებულ დადებით ნაშთზე დაერიცხა სარგებელი წლიური 2% (ორი პროცენტის) ოდენობით, საიდანაც სააგენტო 2014 წელს⁹³ დამატებით მიიღებდა 15,000 აშშ დოლარის შემოსავალს. აღნიშნული წერილი სააგენტოს კანცელარიაში რეგისტრირებულია მხოლოდ 2014 წლის 4 დეკემბერს, მას შემდეგ რაც აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე სს „ბაზისბანკმა“ 2014 წლის 4 დეკემბერს ხელმეორედ გამოუგზავნა სააგენტოს აღნიშნული წერილი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სს „ბაზისბანკმა“ ვერ მოიძია სააგენტოს კანცელარიაში 2014 წლის 19 მარტს გამოგზავნილი წერილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი. მიუხედავად აღნიშნულისა, ბანკმა კიდევ ერთხელ დაადასტურა წერილის 2014 წლის 4 დეკემბერს ხელმეორედ გამოგზავნა.

შპს „საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდის“ საქმიანობაში კომპაქტით, ფონდის წესდებით, ფონდის მართვის ხელშეკრულებითა და ფონდის სხვა დოკუმენტების შესაბამისად განსაზღვრულ როლს თამაშობს ხუთი ორგანიზაცია.

აუდიტის ჯგუფის მოთხოვნით, ფონდის მმართველი კომპანია (ფონდის მენეჯერი) - SEAF -ის წარმოდგენილი ინფორმაციით, საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდს, 2007 წლიდან 14 ქართულ კომპანიაში სულ განხორციელებული აქვს 32,200,852 აშშ დოლარის ინვესტიცია, მათ შორის: კომპანიების საწესდებო კაპიტალში ინვესტირებულია 4,192,601 აშშ დოლარი, ხოლო

⁹⁰ . GE33BG0000000623031701USD;

⁹¹ . სააგენტოს მიერ;

⁹² . № 19.03/03, 19.03.2014;

⁹³ . 2014 წლის 1 აპრილიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

სესხის სახით გაცემულია 28,008,251 აშშ დოლარი, საიდანაც 2014 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით მხოლოდ სამ ორგანიზაციას აქვს მთლიანად დაფარული მიღებული სესხი 8,000,000 აშშ დოლარი, ხოლო 9 კომპანიას მთლიანობაში დასაბრუნებელი აქვს სესხის ძირი 18,378,239 აშშ დოლარის ოდენობით. ფონდის საინვესტიციო პორტფელის მდგომარეობა წარმოდგენილია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში:

	ინვესტიც ია კომპანიის კაპიტალში ი	GRDF- ის წილი კომპანი ის კაპიტა ლში %	გაცემული სესხი	დაბრუნებ ული სესხის ძირი	გადახდი ლი სესხის პროცენტ ი	გადახდილ ი სხვა მოსაკრებ ლები	სულ მიღებული კომპანიები სგან	დაბრუნებ ული სესხის ძირი
ა-ნეტ	1,500,000	32.00%	700,000	410,345	196,734	142,646	749,725	289,655
სასურსათო კომბინატის ხაზი	187,252	75.00%	2,292,751		5,401	18,592	23,993	2,292,751
დელტა კომი			3,000,000	3,000,000	769,937	451,925	4,221,862	-
დოგანი			700,000	83,837	120,024	58,349	262,210	616,163
დოკი	600,000	51.00%	2,400,000	33,333	386,275	196,347	615,955	2,366,667
ეკოპეკსი	470,849	42.10%	1,650,000	310,819	157,519	162,945	631,283	1,339,181
იოლი/ფუდმარტი	93,750	3.50%	2,906,250		230,773	238,211	468,983	2,906,250
მადაი	500,000	25.90%	2,500,000	454,135	449,484	192,171	1,095,790	2,045,865
ჰიუნკ-ჯორჯია			2,000,000	1,999,753	724,291	370,524	3,094,568	-
პრაიმ-ბეტონი	110,000	15.00%	2,890,000	290,933	461,360	305,174	1,057,468	2,599,067
სასტუმროების ქსელი რჩეული	380,750	10.00%	1,419,250		81,383	89,425	170,808	1,419,250
რიცეულა ჰესი			3,000,000	3,000,000	934,276	32,966	3,967,242	-
ტერემოკ ჯგუფი	350,000	45.00%	650,000			40,562	40,562	650,000
თეთნულდი 2007		75.00%	1,900,000	46,609	304,179	137,293	488,081	1,853,391
ჯამი	4,192,601		28,008,251	9,629,765	4,821,636	2,437,129	16,888,530	18,378,239

SEAF-ის მიერ ასევე, წარმოდგენილია ინფორმაცია პორტფელის კომპანიებში არსებული მდგომარეობის შესახებ, რომლის ანალიზის შედეგადაც, მთელ რიგ

კომპანიებში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე ინვესტირებული თანხების უკან დაბრუნება სერიოზულ პრობლემებთანაა დაკავშირებული.

მიზანშეწონილი იქნება აღნიშნული თანხების დანიშნულებით გახარჯვამდე, მაქსიმალური სარგებლის მიღების უზრუნველსაყოფად, გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები.

5. შპს “Wetzel plaza” - ს ქონების განკარგვა

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 12 აპრილის N141 დადგენილებით, სააგენტო - დაინტერესებული პირის ქონების განკარგვის ხელშეწყობას ახორციელებს ქონების რეალიზაციასას, პრივატიზებისას ან სარგებლობის უფლებით გადაცემისას. დაინტერესებული პირი, ქონების განკარგვის ხელშეწყობის მიზნით სააგენტოს მომსახურებით სარგებლობის სურვილის შემთხვევაში, ელექტრონული ან მატერიალური განაცხადით მიმართავს სააგენტოს. ელექტრონული განაცხადის შემთხვევაში, დაინტერესებული პირი სააგენტოს მიმართავს ვებგვერდის www.eauction.ge - ის საშუალებით.

დადგენილებით და დაინტერესებულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის განისაზღვრება ფიქსირებულ გადასახადს (100, 200 და 2,400 ლარი) დამატებული ქონების საწყისი სარეალზაციო/სარგებლობის უფლებით გადასაცემი ღირებულების 1%-ის ოდენობით.

აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების გამოყენების მიზნებისათვის, ქონება უნდა იყოს პირის საკუთრება, ან აღნიშნულ პირს უნდა გააჩნდეს ქონების განკარგვის კანონიერი უფლებამოსილება⁹⁴. ასევე, ხელშეკრულების შესაბამისად სააგენტო უფლებამოსილია:

- შეწყვიტოს ნებისმიერი მომსახურება ტექნიკური პრობლემის, რაიმე შეცდომის, უზუსტობის, პირის მხრიდან უკანონო მოქმედებების განხორციელების ან სხვა მიზეზის გამო, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ვებ-გვერდს ან სააგენტოს⁹⁵;
- შეაჩეროს ან შეწყვიტოს პირის რეგისტრაცია და ვებ გვერდზე ავტორიზაცია, თუ ჩათვლის რომ ის არასწორედ მოქმედებს⁹⁶;

⁹⁴ . მუხლი 1.2;

⁹⁵ . მუხლი 7.1.2;

⁹⁶ . მუხლი 7.1.3;

➤ გააკონტროლოს ყველა მოქმედება პირის მხრიდან და რაიმე დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი ზომები⁹⁷.

ამავე დროს პირი უფლებამოსილია:

➤ განკარგვის მიზნით განათავსოს ქონება ვებ-გვერდზე⁹⁸;

➤ ნებისმიერ დროს განაახლოს თავისი პირადი მონაცემები⁹⁹.

პირი ვალდებულია არ შეიყვანოს შეცდომაში დაინტერესებული პირი მცდარი ან არასწორი ინფორმაციის გამოქვეყნების გზით¹⁰⁰.

სააგენტო იტოვებს უფლებას, პირის მიერ მნიშვნელოვანი დარღვევ(ებ)ის შემთხვევაში, გააუქმოს პირის მიერ განთავსებული ინფორმაცია და/ან პირის ანგარიში ვებ-გვერდზე¹⁰¹.

2013 წლის 23 სექტემბერს, 10:19:23 საათზე, მომხმარებელმა საინდივიდუალური ნომრით N404404934, ელექტრონული აუქციონის ვებგვერდზე - www.eauction.ge გაიარა რეგისტრაცია, სადაც პასუხისმგებელ პირად მითითებულ იქნა ლელა პაპუაშვილი. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ მოიპოვება არანაირი მტკიცებულება ლელა პაპუაშვილის ქონების განკარგვის კანონიერი უფლებამოსილების შესახებ.

2013 წლის 7 ოქტომბერს, 18:15:12 საათზე, იმავე მომხმარებელმა, ვებგვერდზე განათავსა ლოტი განაცხადის ნომრით N46710EDP117546413.

აღნიშნული განაცხადით შპს “Wetzel plaza” - ამ აუქციონზე გასაყიდად გამოიტანა ქ. თბილისში აღმაშენებლის N103 მდებარე შენობა 5,539 კვ. მ., რაც განთავსებულია 1,510 კვ. მ. არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთზე¹⁰². განაცხადს ახლავს საჯარო რეესტრის 2012 წლის 3 ოქტომბერს მომზადებული ამონაწერი¹⁰³, რომლის მიხედვითაც ქონების მესაკუთრე შპს “Wetzel plaza”-აა.

განაცხადით ქონების საწყისი ფასი 4,858,800 ლარს შეადგენდა, გაყიდვის ფასი 4,908,800 ლარს, ვაჭრობის ბიჯი და საგარანტიო თანხა 10,000 ლარს, ეს უკასკნელი შპს “Wetzel plaza” -ას დირექტორის 2013 წლის 17 ოქტომბრის წერილით გაიზარდა 50,000 ლარამდე.

აუქციონი დაიწყო 2013 წლის 8 ოქტომბერს და დასრულდა 2013 წლის 22 ოქტომბერს, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა კომპანიამ და გაიმარჯვა შპს „იონფაშ ჯორჯია“ -ამ, რომელმაც 2013 წლის 21 ოქტომბერს და 2013

⁹⁷ . მუხლი 7.1.4;

⁹⁸ . მუხლი 7.3.1;

⁹⁹ . მუხლი 7.3.2.

¹⁰⁰ . მუხლი 7.4.3;

¹⁰¹ . მუხლი 7.5.

¹⁰² . N01.12.08.005.004;

¹⁰³ . მიწის (უძრავი (ქონების) საკადასტრო კოდი N01.13.08.005.047;

წლის 1 ნოემბერს სააგენტოს სს „ლიბერთი ბანკში“ გახსნილ GE97LB0121192433146002 სატრანზიტო ანგარიშზე ჩარიცხა შესაბამისად 50,000 ლარი და 4,858,800 ლარი, სულ 4,908,800 ლარი.

შპს “Wetzel plaza” -ამ 2013 წლის 23 სექტემბერს ვებგვერზე რეგისტრაციის დროს საბანკო რეკვიზიტად მიუთითა სს „პრივატბანკი“ ა/ა GE66TR0036020000009726. აღნიშნულ ანგარიშზე, სააგენტოს სს „ლიბერთი ბანკში“ გახსნილ GE97LB0121192433146002 სატრანზიტო ანგარიშდან, 2013 წლის 22 ოქტომბერს შპს “Wetzel plaza” -ას გადაერიცხა¹⁰⁴ 50,000 ლარი¹⁰⁵.

2013 წლის 30 ოქტომბერს შპს „ლინკოლ მენეჯმენტ ჯორჯიამ“¹⁰⁶ წერილობით მიმართა მომსახურების სააგენტოს, რომ მის ანგარიშზე 2013 წლის 23 ოქტომბერს შეცდომით იქნა ჩარიცხული 50,000 ლარის ოდენობით შემდეგი დანიშნულებით ((-46710EDP11754613 – U14185 - PARTequiredAmount-) შპს „იონფაშ ჯორჯია“; გამკარგავი: 404404934, გ.ნ. 46710EDP11754613, ს.წ: ს/ნ 200271721, საგარ).

წერილის თანახმად, შეცდომით ჩარიცხვა განხორციელდა შემდეგ რეკვიზიტებზე: სს „პრივატბანკი“, ბანკის კოდი CAVOGE22, ა/ა GE66TR0036020000009726.

2013 წლის 31 ოქტომბერს, შპს „ლინკოლ მენეჯმენტ ჯორჯიამ“ 50,000 ლარი უკან დაუბრუნა სააგენტოს სს „ლიბერთი ბანკში“ გახსნილ GE97LB0121192433146002 სატრანზიტო ანგარიშზე.

2013 წლის 4 ნოემბერს, სააგენტოს სს „ლიბერთი ბანკში“ გახსნილ GE97LB0121192433146002 სატრანზიტო ანგარიშდან, შპს “Wetzel plaza” -ას, კვლავ სს „პრივატბანკის“ ა/ა GE66TR0036020000009726 - ზე გადაერიცხა¹⁰⁷ 4,858,800 ლარი¹⁰⁸.

2013 წლის 5 ნოემბერს, შპს „ლინკოლ მენეჯმენტ ჯორჯიამ“¹⁰⁹ წერილობით მიმართა მომსახურების სააგენტოს, რომ მის ანგარიშზე 2013 წლის 4 ნოემბერს კვლავ შეცდომით ჩაირიცხა თანხა ამჯერად 4,858,800 ლარის ოდენობით შემდეგი დანიშნულებით ((-46710EDP11754613 – U14185 - PARTequiredAmount-) შპს „იონფაშ ჯორჯია“; გამკარგავი: 404404934, გ.ნ. 46710EDP11754613, ს.წ: ს/ნ 200271721, დარჩენილი).

¹⁰⁴ . საგადახდო დავალება N55187;

¹⁰⁵ . (-46710EDP11754613 – U14185 – PARTequiredAmount-) შპს „იონფაშ ჯორჯია“ გამკარგავი: 404404934, გ.ნ. 46710EDP11754613, ს.წ: ს/ნ 200271721, საგარანტიო თანხა: 50,000 GEL, 21.10.13.).

¹⁰⁶ . ს/კ 204541380.

¹⁰⁷ . საგადახდო დავალება N55624;

¹⁰⁸ . (-46710EDP11754613 – U14185 – PARTequiredAmount-) შპს „იონფაშ ჯორჯია“; გამკარგავი: 404404934, გ.ნ. 46710EDP11754613, ს.წ: ს/ნ 200271721, დარჩენილი ღირებულება: 4,858,800 ლარი;

¹⁰⁹ . ს/კ 204541380;

წერილის თანახმად, შეცდომით ჩარიცხვა განხორციელდა შემდეგ რეკვიზიტებზე: სს „პრივატბანკი“, ბანკის კოდი CAVOGE22, ა/ა GE66TR0036020000009726.

2013 წლის 7 ნოემბერს, შპს „ლინკოლ მენეჯმენტ ჯორჯიამ“ 4,858,800 ლარი უკან დაუბრუნა სააგენტოს სს „ლიბერთი ბანკში“ გახსნილ GE97LB0121192433146002 სატრანზიტო ანგარიშზე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ საფინანსო ანალიტიკური სამსახურის წერილების¹¹⁰ თანახმად, შპს „Wetzel plaza“-ამ 2013 წლის 23 სექტემბერს, აუქციონის საიტზე რეგისტრაციის დროს საბანკო რეკვიზიტად მიუთითა შემდეგი ანგარიშის ნომერი: GE66TR0036020000009726, ხოლო 2013 წლის 24 ოქტომბერს აღნიშნული ნომერი შეიცვალა GE66TP0036080020002605 ანგარიშით, რისი უფლებაც მას სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულებით ჰქონდა¹¹¹.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოსთვის, 2013 წლის 30 ოქტომბრისათვის შპს „ლინკოლ მენეჯმენტ ჯორჯია“-ს სგან ცნობილი იყო, რომ შპს „Wetzel plaza“-ას მიერ 2013 წლის 23 სექტემბერს ვებგვერზე რეგისტრაციის დროს მითითებული სს „პრივატბანკი“ გახსნილი GE66TR0036020000009726 ანგარიში, ეკუთვნოდა შპს „ლინკოლ მენეჯმენტ ჯორჯია“-ს, გარდა ამისა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ საფინანსო ანალიტიკური სამსახურის წერილების თანახმად, შპს „Wetzel plaza“-ს 2013 წლის 23 სექტემბერს, აუქციონის საიტზე რეგისტრაციის დროს მითითებული ანგარიშის ნომერი: GE66TR0036020000009726, შეცვალა 2013 წლის 24 ოქტომბერს, აღნიშნული ნომერი შეიცვალა GE66TP0036080020002605 ანგარიშით.

ამდენად გაურკვეველია და შემგომი შესწავლის საგანი უნდა გახდეს თუ რატომ გადაერიცხა 2013 წლის 4 ნოემბერს შპს „Wetzel plaza“-ს სს „პრივატბანკის“ ა/ა GE66TR0036020000009726 - ზე 4,858,800 ლარი.

ასევე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ შპს „Wetzel plaza“-ს 50 – 50 %-იანი წილის მფლობელები და პარტნიორები არიან სააქციო საზოგადოება „რეალ ინვესტი“¹¹² და სააქციო საზოგადოება „პრივატბანკი“¹¹³. საზოგადოების წესდებით მხოლოდ პარტნიორთა კრებას ჰქონდა უფლება მიეღო გადაწყვეტილება უძრავი ქონების გასხვისებაზე, რაც წარმოდგენილი ვერ იქნა. ასევე წესდებით, შპს „Wetzel plaza“-ს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირს, შეზღუდული ჰქონდა უძრავი ქონების განკარგვის უფლებამოსილება. რაც შეეხება შპს „Wetzel plaza“-ს

¹¹⁰ . N22/91644, 02.12.2013. და N22/9971, 17.02.2014;

¹¹¹ . მუხლი 7.3.2.

¹¹² . ს/კ 202283135;

¹¹³ . ს/კ 203838678;

თანამშრომელს, რომელმაც ტექნიკურად დაარეგისტრირა საზოგადოების სახელით განაცხადი, მასზე ქონების განკარგვის კანონიერი უფლებამოსილების შესახებ მტკიცებულებები ვერ იქნა წარმოდგენილი.

დღეის მდგომარეობითაც სააგენტოს სს „ლიბერთი ბანკში“ გახსნილ GE97LB0121192433146002 სატრანზიტო ანგარიშზე ირიცხება შპს „იონფაშ ჯორჯია“ - იას კუთვნილი 4,908,800 ლარი, რომელზეც სააგენტოსა და სს „ლიბერთი ბანკს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით - „არსებულ ნაშთზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვის შესახებ“, სააგენტო ყოველთვიურად ამ თახიდან სარგებლის სახით დებულობს დაახლოებით 53,1 ათას ლარს.

6. მკაცრი აღრიცხვის ფორმები

ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული¹¹⁴ დებულებით, სააგენტოს ერთერთ ფუნქციას და ძირითად მიმართულებას წარმოადგენს - მკაცრი აღრიცხვის ფორმების შეთანხმების, რეგისტრაციის, დამზადების, შენახვის, გამოყენების და ექსპერტიზა - უტილიზაციის საკითხების მართვა¹¹⁵. შესაბამისად სააგენტო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ითანხმებს მკაცრი აღრიცხვის ფორმებს და ანიჭებს მათ სარეგისტრაციო ნომერს, ან უარს ეუბნება ნომრის მინიჭებაზე, აგრეთვე ითანხმებს საქართველოს ფარგლებს გარეთ ისეთი მკაცრი აღრიცხვის ფორმების დამზადების საკითხს, რომელთაც საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს და რომელთა დამზადება შეუძლებელია საქართველოში არსებულ პოლიგრაფიულ საწარმოებში, ასევე ახორციელებს მკაცრი აღრიცხვის ფორმების ექსპერტიზა - უტილიზაციას. სააგენტო საჭიროების შემთხვევაში ამზადებს და სამინისტროში წარადგენს მკაცრი აღრიცხვის ფორმების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების პროექტებს¹¹⁶.

სააგენტო დამტკიცებული დებულებით გათვალისწინებული, ფუნქციებიდან არ ახორციელებს მკაცრი აღრიცხვის ფორმების დამზადებაზე, შენახვაზე და გამოყენებაზე მართვას, რის შედეგადაც ზოგიერთ შემთხვევებში პოლიგრაფიული დაწესებულებების მიერ დაბეჭდილი მკაცრი აღრიცხვის ფორმები არ შეესაბამება მათი რეგისტრაციის დროს შეთანხმებულ ფორმის ნიმუშებს და მათი გამოვლენაც ხდება მხოლოდ მათი ექსპერტიზა - უტილიზაციის დროს.

¹¹⁴ . ფინანსთა მინისტრის ბრძანება N523, 13.07.2005;

¹¹⁵ . მუხლი 1 - ლი 1 - ლი ქვეპუნქტი; მე - 2 მუხლი, ა1 - პუნქტის დ - ქვეპუნქტი.

¹¹⁶ . მე - 2 მუხლი, მე - 2 პუნქტის გ5, გ7 და გ8 ქვეპუნქტები;

სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანამად, 2012 – 2013 წლებში, სააგენტომ 17 შემთხვევაში მკაცრი აღრიცხვის ფორმები არ დაუქვემდებარა უტილიზაციას, მათ შორის: სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლების - უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომები; შპს „სითი პარკის“ საჯარიმო ქვითრები - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები; შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ - ლატარიის ბილეთები (მოგებახვედრილი); საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სერვისების განვითარების სააგენტოს - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები, საქართველოს მოქალაქის პირადობის დროებითი მოწმობა და ლტოლვილის სამგზავრო დოკუმენტი და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმოდგენილი მკაცრი აღრიცხვის ფორმები. უტილიზაციაზე უარის თქმის ძირითად მიზეზებად დასახელებულია წარმოდგენილი მკაცრი აღრიცხვის ფორმისა და დამცავი ნიშნების შეუსაბამობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებულ ნიმუშთან; ზოგიერთი მათგანის მნიშვნელოვნად დაზიანების გამო ვერ დადგინდა ფორმის იდენტურობა, ასევე არ ისინჯებოდა ყველა დამცავი ნიშანი და სხვა მიზეზები.

სააგენტოს მიერ უტილიზაციას არ დაქვემდებარებული მკაცრი აღრიცხვის ფორმები დალუქულ მდგომარეობაში, დაბრუნებულია გამომგზავნ დაწესებულებებში.

2012–2013 წლებში სააგენტოს მკაცრი აღრიცხვის ფორმების განმხილველი კომისიის გადაწყვეტილებების¹¹⁷ საფუძველზე ორ შემთხვევაში შეითანხმა მკაცრი აღრიცხვის ფორმების საქართველოს ფარგლებს გარეთ დამზადების საკითხი.

7. სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული და განსაკარგავად გადაცემული მოძრავი ქონების მიღება, აღრიცხვა, შენახვა, შეფასება, განკარგვა და/ან განადგურება

7.1 რეზერვების დეპარტამენტის მიერ მომსახურების სააგენტოსთვის განსაკარგავად გადმოცემული მაზუთი

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 19 ნოემბრის N768 განკარგულების საფუძველზე, ელექტროენერგეტიკული სექტორისათვის დამტებითი რეზერვის შექმნის მიზნით, 2008 წლის 5 დეკემბერს, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით, ენერგეტიკის სამინისტროსა და შპს „სოკარ ჯორჯიას“ შორის გაფორმებული იქნა

¹¹⁷ . N31, 24.12.2012. და N07, 18.02.2013.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება¹¹⁸ 50,000 ტონა „მ - 100“ მარკის მაზუთის შესყიდვაზე, ღირებულებით 20,750.0 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში დღგ - სა და ტრანსპორტირების ჩათვლით რ/ს „გარდაბნიდან“ „თბილსრესის“ გადასარბენელ პარკამდე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე, ენერგეტიკის სამინისტროდან მოწოდებული დოკუმენტების შესწავლით დადგინდა შემდეგი:

- ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების¹¹⁹ შესაბამისად მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ჩაბარებისას (ინსპექტირებისას) ენერგეტიკის სამინისტროსთვის უნდა წარედგინა მაზუთის წარმოშობისა და ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატები, რაც არ შესრულებულა;
- ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 10 დეკემბერის¹²⁰ ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის დასკვნებით მაზუთის ფაქტობრივი რაოდენობა 25,2 ტონით აღემატებოდა საბაჟო დოკუმენტებში დაფიქსირებულ რაოდენობას, რაც ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა შპს „სოკარ ჯორჯიას“ ჩამოართვა უსასყიდლოდ. აღნიშნულ მაზუთთან დაკავშირებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა¹²¹ 2009 წლის 2 თებერვალს¹²² და 2009 წლის 6 აპრილს¹²³ წერილობით მიმართა სააგენტოს, რომ გაეტარებინათ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები. 2015 წლის 1 იანვრამდე 25.2 ტონა მაზუთი სააგენტოს გადმოხარებული არ აქვს.
- მიღება - ჩაბარების და შედარების აქტებით სამინისტროზე ფაქტობრივად მიწოდებულია 50,002.3 ტონა მაზუთი, საიდანაც ანაზღაურებას დაექვამდებარა 50,000 ტონა მაზუთი ღირებულებით 24,632.9 ათასი ლარი. მაზუთის მოწოდების ვადების დარღვევის გამო შპს „სოკარ ჯორჯიას“ ენერგეტიკის სამინისტრომ საჯარიმო საანქციის სახით დაარიცხა 121.3 ათასი ლარი. სამინისტრომ სადგურის მომსახურების სახით გადაიხადა 120.6 ათასი ლარი და რკინიგზის მოცდენის ხარჯები - 15.5 ათასი ლარი;
- მაზუთის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების დადგენის მიზნით, ენერგეტიკის სამინისტრომ ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით ხელშეკრულება¹²⁴ გააფორმა შპს „სჯს ჯორჯიასთან“, რომლის ღირებულებაც 24.0 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში შეადგენდა.

¹¹⁸ .N145.12 – 8296;

¹¹⁹ . მე - 5 მუხლის პირველი პუნქტის „ ბ“ ქვეპუნქტი;

¹²⁰ .N109;

¹²¹ . ქ. თბილისის რეგიონალური ცენტრი(საგადასახადო ინსექცია);

¹²² . N16 – 17 – 8/05 642;

¹²³ . N16 – 17 – 8/05 – 2004.

¹²⁴ .N145.12. – 1540.

ხელშეკრულებით კომპანიას მომსახურება უნდა განეხორციელებინა 24 საათის განმავლობაში, ხოლო ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო მაზუთის პარტიის ესკადაკადაზე შემოყენებიდან. მიღება - ჩაბარების აქტებიდან ირკვევა, რომ შპს „სჯს ჯორჯიას“ 5 შემთხვევაში ზემოაღნიშნული ვადების გადაცილებით განხორციელებული აქვს მომსახურება, რაზედაც ენერგეტიკის სამინისტროს მხრიდან რეაგირება არ მოყოლია.

ინსპექტირების ჯგუფის დასკვნების თანახმად, რომლებიც გაკეთდა შპს „სჯს ჯორჯიას“ ლაბორატორიული დასკვნების საფუძველზე, მოწოდებული მაზუთის ხარისხობრივი პარამეტრები აკმაყოფილებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი „მ - 100“ მარკის მაზუთის მახასიათებლებს.

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 31 დეკემბრის N080 -ს განკარგულებით „ელექტროენერგეტიკული სექტორისათვის დამატებითი რეზერვის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 19 ნოემბრის N768 განკარგულების თანახმად შეძენილი 50,000 ტონა მაზუთი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტს სახელმწიფო რეზერვში შესანახად. დეპარტამენტს უნდა უზრუნველყო საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროდან გადმოცემული 50,000 ტონა მაზუთის სახელმწიფო რეზერვში მიღება/განთავსება და შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 30 ივლისის N07 - ს განკარგულებით, შენახვის ვადის გასვლის მოახლოებასთან დაკავშირებით ჯავშანი მოეხსნა შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ საცავებში მატერიალურად საპასუხისმგებლო შენახაზე განთავსებული სახელმწიფო რეზერვის კუთვნილ 50,002,345 (ორმოცდაათი მილიონ ორი ათას სამას ორმოცდახუთი) კილოგრამ „მ - 100“ მარკის მაზუთს.

ამავე განკარგულებით ნება დაერთო სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტს (შემდგომში - რეზერვების დეპარტამენტი), ჯავშანმოხსნილი მაზუთი განსაკარგავად გადაეცა სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აღნიშნულთან დაკავშირებით რეზერვების დეპარტამენტმა 2013 წლის 5 აგვისტოს წერილობით¹²⁵ მიმართა მომსახურების სააგენტოს. წერილის მიხედვით მაზუთის რეზერვუარებიდან (ყოფილი სს „თბილსრესის“ კუთვნილი) სარკინიგზო

¹²⁵ . N39/3/160;

ცისტერნებში ან სხვა სატრანსპორტო საშუალებებში ჩატვირთვა და ტრანსპორტირება მოითხოვდა გარკვეულ დროს და დამატებითი ხარჯების გაღებას (მყიდველის მხრიდან).

რეზერვების სააგენტო გამოთქვამდა მზადყოფნას უმოკლეს ვადაში ხსენებული მაზუთი გადაეცა მომსახურების სააგენტოსათვის, რათა ამ უკანასკნელს მოეხდინა მისი შემდგომი განკარგვა.

მომსახურების სააგენტომ, მაზუთის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების დადგენის მიზნით, 2013 წლის 16 სექტემბერს ხელშეკრულება¹²⁶ გააფორმა შპს „სჯს ჯორჯია“-სთან.

შპს „სჯს ჯორჯია“-ს 2013 წლის 1 ოქტომბრის წერილის (დასკვნის) თანახმად, აზომვის პროცესი ვერ განხორციელდა სამივე რეზერვუარში ტვირთის მოცულობის დადგენა ჩასხმის სიმაღლის აზომვის მეთოდით, რადგან რეზერვუარის ქვედა დონეებში ტვირთი გასქელებული აღმოჩნდა და ვერ მოხერხდა საზომი ხელსაწყო რეზერვუარის ბოლომდე ჩაშვება. შესაბამისად ტვირთის ჩასხმის სიმაღლე დადგინდა სიცარიელის აზომვის მეთოდით, რომლის მიხედვითაც გაიზომა რეზერვუარის სამუშაო უმაღლესი წერტილიდან ტვირთის ზედაპირამდე არსებული სიმაღლე, მიღებული რიცხვი დააკლდა რეზერვუარის მთლიან სამუშაო სიმაღლეს და მიიღებულ იქნა ჩასხმის სიმაღლე. აზომვის შედეგად¹²⁷ სამივე რეზერვუარში¹²⁸ აღმოჩნდა 51,174.6 ტონა მაზუთი (აქედან - 50,002.3 ტონაა განსაკარგავი, დანარჩენი მკვდარი ნარჩენებია), ხოლო მაზუთის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე წარმოდგენილია შესაბამისი ანალიტიკური ანგარიში¹²⁹.

ზემოაღნიშნული დასკვნის საფუძველზე, სათანადოდ გაფორმებული მიღება - ჩაბარების აქტით - 2013 წლის 22 ოქტომბერს რეზერვების დეპარტამენტმა გადასცა¹³⁰, ხოლო მომსახურების სააგენტომ¹³¹ ჩაიბარა 50,002,345 კილოგრამი „მ -100“ მარკის მაზუთი. ამავე აქტით აღნიშნული მაზუთი საპასუხისმგებლო შენახვაზე ჩაიბარა შპს საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულმა კორპორაციამ „თბილსრესმა“¹³².

მომსახურების სააგენტოს წერილობითი მიმართვის საფუძველზე¹³³, ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნით - „თბილსრესის“ სათბობ - სატრანსპორტო საამქროს

¹²⁶ .გამარტივებული შესყიდვა - N134;

¹²⁷ . დანართი N1;

¹²⁸ .N19, N21, N23;

¹²⁹ . დანართი N2 S3204;

¹³⁰ . თ. ლლონტი;

¹³¹ . ლ. ოტიაშვილი.

¹³² . გ. მაღლაკელიძე;

¹³³ . რომელსაც დანართის სახით ახლდა შპს „სჯს ჯორჯიას“ 2013 წლის 23 სექტემბრის დასკვნის N2 დანართი S3204 - მაზუთის ხარისხობრივი მაჩვენებლის ანალიტიკური ანგარიში და საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის 15.10.2013. N47/1 წერილი - რეზერვუარებიდან მაზუთის ცისტერნებში ჩატვირთვასთან დაკავშირებით;

რეზერვუარებში¹³⁴ განთავსებული 50,002,345 კგ „მ -100“ მარკის მაზუთის საბაზრო ღირებულება 2013 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით საორენტაციოდ შეადგენდა - 34,501,618 ლარს, შესაბამისად 1 ტონაზე 690 ლარს. ამასთან, რეზერვების დეპარტამენტის 2013 წლის 7 აგვისტოს წერილის¹³⁵ შესაბამისად, დეპარტამენტს აღნიშნული მაზუთი ბალანსზე ერიცხებოდა 24,634,163 ლარად.

მომსახურების სააგენტოში ვერ იქნა წარმოდგენილი აღნიშნული მაზუთის წარმოშობისა და ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

მომსახურების სააგენტოს გენერალური დირექტორის 2013 წლის 4 ნოემბერის N3812 ბრძანებით, აღნიშნული მაზუთის პრივატიზება უნდა განხორციელებულიყო ელექტრონული აუქციონის (ინტერნეტ - აუქციონი) ფორმით, რომლის საწყისი ღირებულებაც - 34,501,618 ლარით განისაზღვრა. უპირობო და გამოუხმობი გარანტიის/ზეს ოდენობა 3,450,161 ლარს შეადგენდა. ელექტრონულ აუქციონზე ვაჭრობა დაიწყო 2013 წლის 5 ნოემბერს 16:00 საათზე და დასრულდებოდა 2013 წლის 12 ნოემბერს 14:00 საათზე.

2013 წლის 8 ნოემბერს მომსახურების სააგენტოს დირექტორის N3859 ბრძანებით ცვლილება შესულია ზემოთ ხსენებულ ბრძანებაში და ელექტრონული აუქციონის დასრულების ვადა 2013 წლის 22 ნოემბრამდე (14:00 საათი) გადაიწია. ბრძანებას საფუძვლად უდევს გენერალური დირექტორის მოადგილის მოხსენებითი ბარათი, რომლის მიხედვითაც „მაზუთი განთავსებულია შპს საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის „თბილსრესის“ კუთვნილ მაზუთის რეზერვუარებში¹³⁶; გამომდინარე იქიდან, რომ მაზუთი განკუთვნილი იყო ელექტროენერგიის გენერაციის მიზნებისათვის, სათბობ - სატრანსპორტო საამქროს რეზერვუარებიდან, სარკინიგზო ცისტერნებში ან სხვა სატრანსპორტო საშუალებებში მაზუთის ჩასატვირთი სისტემა არ არსებობს და საჭირო გახდება ამგვარი სისტემის დამონტაჟება, რისთვისაც პოტენციურ მყიდველს მოუწევს დამატებითი ხარჯების გაღება; ასევე, ასეთი სისტემის დამონტაჟებისთვის საჭიროა სათანადო პროექტის შედგენა კომპეტენტური ორგანიზაციების მიერ, გარემოსდაცვითი მოთხოვნების გათვალისწინება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შპს „ საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციასთან“ პროექტის შეთანხმება. მყიდველმა, ქონების ადგილიდან გატანისათვის დამატებით უნდა განახორციელოს სხვა ღონისძიებებიც, რომელიც გამოქვეყნებულია საიტზე www.eauction.ge.” ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით აუქციონის დასრულების ვადა 2013 წლის 22 ნოემბერამდე გადაიწია.

¹³⁴ . N19, N21, N23;

¹³⁵ . N39/3/163;

¹³⁶ . N19, N21, N23.

თუმცა იმავე დღეს, 2013 წლის 8 ნოემბერს, სააგენტოს დირექტორის N3860 ბრძანებით შეწყდა ზემოაღნიშნული აუქციონი, რომლის საფუძველი ამ შემთხვევაშიც, გენერალური დირექტორის მოადგილის მოხსენებითი ბარათია. აუქციონის შეწყვეტის მიზეზად დასახელებულია: „დაინტერესებულ მხარეთა მიერ არაერთელ დაისვა საკითხი პროდუქტის (მაზუთის) განთავსების ადგილიდან გატანის დანახარჯების ოდენობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ სააგენტოს პირდაპირ და უშუალო ვალდებულებას არ წარმოადგენს პროდუქციის შესაბამისი წესით გადაზიდვის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვის დადგენა/შედგენა, დაინტერესებული მხარეებისთვის სავარაუდო თანხების დაზუსტებისა და მათი შემღებისდაგვარად ინფორმირების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დროებით შეწყვეტილ იქნეს აუქციონი“.

გაურკვეველია თუ რას ეყრდნობოდა გენერალური დირექტორის მოადგილე მოხსენებით ბარათში, როდესაც დამტკიცებული დებულებით¹³⁷, სააგენტოს ერთერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს სააგენტოსთვის გადმოცემული ქონების აღრიცხვა, შენახვა, შეფასება, განკარგვა (პრივატიზება, განაწილება, განადგურება) და/ან განადგურების ღონისძიებათა კოორდინაცია და აღნიშნულ სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრა¹³⁸.

საყურადღებოა, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის სახელზე, 2013 წლის 11 დეკემბერს მიწერილ წერილში კომპანია „OCEAN ENERGY GMBH“ -ი საქართველოს მთავრობას სთავაზობდა, პირდაპირი მიყიდვის წესით - 36 (ოცდათექვსმეტი) მილიონ ლარად მიეყიდათ მაზუთი. გარდა ამისა, კომპანია თავის თავზე იღებდა ყველა სხვა დანარჩენ ხარჯებს (გადმოტვირთვის, ტრანსპორტირების), ყულევისა და ბათუმის ტერმინალებში დასაწყობების ხარჯების ჩათვლით.

წერილში ასევე აღნიშნულია, რომ კომპანია კალენდარული წლის განმავლობაში 10.0 მილიონ ტონა ნავთობპროდუქტების გადაზიდვას აწარმოებს საქართველო-აზერბაიჯანის სატრანსპორტო კორიდორში, ასევე აქვს გრძელვადიანი სახელშეკრულებო შეთანხმებები და ურთიერთობები ყაზახეთის, თურქმენეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს, მათ შორის ბათუმისა და ყულევის ტერმინალებთან.

მათთვის ცნობილი იყო, რომ აღნიშნული მაზუთი შეძენილია და ცისტერნებში ჩასხმულია 2008 – 2009 წლებში (დეკემბერ - აპრილი) და მათი შენახვის ვადა 5 წელს შეადგენდა, ასევე, კომპანია შპს „სჯს ჯორჯია“ -ის ქიმიური და ლაბორატორიული ანალიზების შედეგები, კერძოდ, მაზუთში წყლის ოდენობის

¹³⁷ . N523, 13.07.2005;

¹³⁸ . მე - 2 მუხლი, 1 პუნქტის ა¹ ქვეპუნქტი.

მაღალი შემცველობის შესახებ (ნორმა 0.5%, ფაქტი 3.5 – 4.0%), რომლის ხარისხზეც დროის გასვლა უარყოფითად იმოქმედებდა და შესაბამისად მის საბაზრო ფასზეც.

ენერგეტიკის სამინისტროდან წარმოდგენილი ინფორმაციით¹³⁹, კერძოდ 2008 – 2009 წლებში სამინისტროსთვის შპს „სოკარ ჯორჯიას“ მიერ მოწოდებული 50,002,345 კგ „მ - 100“ მაზუთის განბაჟებისას შევსებულ საბაჟო დეკლარაციებში, გრაფა 2 – „ექსპორტიორი“ - ში დაფიქსირებულია “ТУРКМЕНБАШСКИЙ КОМПЛЕКС НЕФТЕПЕРЕРАБАТЫВАЮЩИХ ЗАВОДОВ” თურქმენეთი, “EAST ENERGY FZCO” – მეშვეობით, “OCEAN ENERGY” - დავალებით, ხოლო გრაფა 8 - იმპორტიორი“ - ში დაფიქსირებულია შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი“.

მომსახურების სააგენტომ¹⁴⁰ პასუხად კომპანია „OCEAN ENERGY GMBH“ - ს შეთავაზა, სააგენტოს მიერ ელექტრონული აუქციონის (ინტერნეტ-აუქციონში) გამოცხადების შემთხვევაში აუქციონში მონაწილეობის მიღება სხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად და გამარჯვების შემთხვევაში შეემძინა ქონება.

სააგენტოს დღემდე მაზუთის განკარგვაზე აუქციონი არ გამოუცხადებია.

რეზერვების დეპარტამენტი 2014 წლის 22 მაისის წერილით¹⁴¹ ინტერესდება მათ მიერ შემდგომი განკაცვის მიზნით გადმოცემული მაზუთის რეალიზაციით, რამეთუ მისი გაყიდვიდან შემოსული თანხები უნდა მოხმარებოდა სახელმწიფო რეზერვების დეპარტამენტის სისტემის განვითარებას. ამასთან წერილის მიხედვით ხსენებული მაზუთის ვარგისიანობის ვადა გასდიოდა - 2014 წლის გაზაფხულზე.

სააგენტომ, მასზე განსაკარგავად გადაცემული 50,002,345 კგ „მ - 100“ მარკის მაზუთის გატანასთან დაკავშირებული დანახარჯების ოდენობის დადგენის მიზნით, 2014 წლის 9, 11 და 12 ნოემბერს წერილობით მიმართა: შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კომპანიას“, სს „საქართველოს რკინიგზას“, შპს „შავი ზღვის ტერმინალს“ და შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალს“, ასევე საბაზრო ღირებულების დადგენის მიზნით წერილი¹⁴² გაეგზავნა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს.“ შემოსული წერილების შესაბამისად მაზუთის გატანასთან (გადმოტვირთვა, ტრანსპორტირება, დასაწყობება) დაკავშირებული ხარჯების ოდენობა დაახლოებით 2.9 მილიონ აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში შეადგენს, ხოლო მისი საორენტაციო საბაზრო ღირებულება - 31,001,454 ლარს, ანუ 3,500,164 ლარით ნაკლებს, ამავე სამსახურის

¹³⁹. N02/4768, 22.12.2014;

¹⁴⁰. წერილი N19-05/235, 18.02.2014.;

¹⁴¹. N39/3/97;

¹⁴². რომელსაც დანართის სახით ახლდა შპს „სჯს ჯორჯიას“ 2013 წლის 25 სექტემბრის დასკვნის N2 დანართი S3204 - მაზუთის ხარისხობრივი მაჩვენებლის ანალიტიკური ანგარიში.

მიერ 2013 წლის 1 ნოემბერს განსაზღვრულ საორენტაციო საბაზრო ღირებულებასთან¹⁴³ შედარებით.

როგორც ცნობილია, მსოფლიო ბაზარზე 2013 წლის ოქტომბრის თვის შემდეგ, ნავთობპროდუქტებზე მკვეთრად შემცირდა ფასები¹⁴⁴, ასევე დროის გასვლა უარყოფითად მოქმედებს მაზუთის ხარისხზე (მატულობს ტენიანობა), შესაბამისად ორივე ფაქტორი უარყოფითად მოქმედებს სააგენტოზე განაკარგავად გადმოცემულ 50,002,345 კგ „მ - 100“ მარკის მაზუთის სარეალიზაციო ფასზე.

სახელმწიფოთაშორისო სტანდარტის¹⁴⁵ თანახმად, დამამზადებელი გარანტიას იძლევა მაზუთის ხარისხი შეესაბამებოდეს აღნიშნული სტანდარტის მოთხოვნებს მაზუთის ტრანსპორტირების და შენახვის პირობების დაცვის შემთხვევაში მისი დამზადებიდან 5 წლის განმავლობაში¹⁴⁶. როგორც ცნობილია, ხსენებული მაზუთი საქართველოში იპორტირებულია 2008 წლის დეკემბერიდან 2009 წლის აპრილამდე პერიოდში¹⁴⁷ და საქონელს არ ახლდა წარმოშობისა და ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატები. დროის გასვლასთან ერთად უარესდება მაზუთის ხარისხობრივი მაჩვენებლები¹⁴⁸, რაც პირდაპირ კავშირშია მის ღირებულებასთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მომსახურების სააგენტომ მასზე კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვნად შესრულებით, ვერ უზრუნველყო განსაკარგავად გადაცემული მაზუთის შესაძლო მაღალ ფასად რეალიზაცია და გაზარდა მაზუთის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუარესებისა და, შესაბამისად მისი ღირებულების შემცირებასთან დაკავშირებული ფინანსური რისკები.

7.2 გადმოუზარებელი ქონება

დამტკიცებული დებულებით¹⁴⁹ სააგენტოს ერთ ერთ ძირითად მიზანს (ფუნქციას) წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების აღრიცხვა, შენახვა, შეფასება, განკარგვა და/ან მისი განადგურების ღონისძიებათა კოორდინაცია და აღნიშნულ სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრა. აღნიშნული

¹⁴³ . 34 501 618.05 ლარი;

¹⁴⁴ . დაახლოებით 50 – 55%;

¹⁴⁵ .ГОСТ 10585 – 99, ТОПЛИВО НЕФТЯНОЕ МАЗУТ;

¹⁴⁶ . პუნქტი 9.1;

¹⁴⁷ . ხუთწლიანი ვადა 2014 წლის გაზაფხულზე გავიდა;

¹⁴⁸ . რამდენადაც ვერ დგინდება როდისაა დამზადებული აღნიშნული მაზუთი;

¹⁴⁹ N523 , 13.07.2005.

პროცესის მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო ეტაპს წარმოადგენს მიქცეული ქონების თავისდროულად და სრულად გადმობარება და მისი დაცულ - უსაფრთხო ადგილზე დასაწყობება. ასევე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ საქართველოს კანონით „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ თანახმად სააგენტო ვალდებული იყო განაჩენის დამდგენ სასამართლოსთვის დაუყოვნებლივ ეცნობებინა მისი აღსრულების შესახებ.¹⁵⁰

ზემოთ აღნიშნული საკითხების (პროცესების) შესწავლით გამოიკვეთა მნიშვნელოვანი დარღვევები კერძოდ:

2014 წლის 16 ივნისამდე¹⁵¹ სააგენტოს მიერ სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების გადმობარებაზე, განაჩენების და გადაწყვეტილებების აღსრულების თაობაზე სასამართლოებში არცერთი შეტყობინება (წერილი) არ გაგზავნილა.

სააუდიტო პერიოდში სათანადო კონტროლო არ იყო დაწესებული სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების გადმობარებაზე, განაჩენებისა და გადაწყვეტილებების აღსრულებაზე, ზოგიერთ შემთხვევაში კი საერთოდ რეაგირების გარეშე იყო დატოვებული.

2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სახელმწიფო საკუთრებაში არ არის გადმობარებული (მიქცეული და განსაკარგავად გადმოცემული) შემდეგი დასახელების და რაოდენობის ქონება:

დასახელება	საქმის ნომერი	შემოსვლის თარიღი	ზომის ერთეული	მიქცევის რაოდენობა
პირველადი დამუშავების მერქნული რესურსი	12-887-10	10.05.2011	მ³	36,550
გაურკვეველი კატეგორიის მერქნული რესურსი	4ა/117-11	05.10.2011	მ³	8,150
პირველადი დამუშავების მერქნული რესურსი	4-116	11.10.2011	მ³	4,470
პირველადი გადამუშავების პროდუქტი	4-148/13	06.12.2013	მ³	4,61

¹⁵⁰ მუხლი N280, პუნქტი მე -2;

¹⁵¹ . „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ ძალაში შესულია 2010 წლის 1 ოქტომბრიდან, N1772 – III, 09.10.2009.

პირველადი დამუშავების მერქნული რესურსი	4-114-2011	05.10.2011	მ ³	3,210 ¹⁵²
წიწვოვანი ჯიშის ხე-ტყე	4-148/13	06.12.2013	მ ³	1.21

➤ შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის რეგიონალური ცენტრის¹⁵³ 2009 წლის 2 თებერვლის და 6 აპრილის წერილების¹⁵⁴ საფუძველზე სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმ“-ზე უსასყიდლოდ ჩამორთმეული, არადეკლარირებული მაზუთი საერთო წონით 25,238 კილოგრამი. მომსახურების სააგენტოს მიერ აღნიშნული საქონლის სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის პროცედურები დაწყებულია 2014 წელს¹⁵⁵;

➤ შემოსავლების სამსახურის გაფორმების დეპარტამენტის 2011 წლის 20 ოქტომბრის წერილით¹⁵⁶ სახელმწიფო საკუთრებაში გადმოცემული შ.პ.ს „გალაქსი ჯორჯიას“ ქონება, კერძოდ სპირტიანი სასმელი 11,928 ბოთლი. 2014 წლის 23 დეკემბერს (სამი წლის შემდეგ) შ.პ.ს „გალაქსი ჯორჯიასათვის“ მიწერილია წერილი ზემოაღნიშნული ქონების წარმოდგენაზე;

➤ 2012 წლის 4 მაისს მომსახურების სააგენტოში ზესტაფონის რაიონული სასამართლოდან შემოსული წერილით,¹⁵⁷ თანდართული დადგენილებით, სახელმწიფო საკუთრებაში მიექცეული 24 ტონა სილიკონმანგანუმის ქერქული ნარჩენი;

➤ ჭიათურის მაგისტრატი სასამართლოს 2013 წლის 26 აპრილის წერილით¹⁵⁸, თანდართული დადგენილებით¹⁵⁹, სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული 4 ტონა მანგანუმის ნედლი მადანი;

➤ 2012 წლის 21 აგვისტოს შემოსული ზუგდიდის რაიონული პროკურატურის წერილით¹⁶⁰, თანდართული დადგენილებით¹⁶¹ სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქარხნული წესით დამზადებული „Makarov ccep“ მოდელის პისტოლეტი და ორი ცალი ვაზნა;

¹⁵². 2014 წლის 21 აგვისტოს გენერალური დირექტორის ბრძანების N2737-ის მიხედვით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შუალედური დასკვნა დანართი N2 და დანართი N4;

¹⁵³ . საგადასახდო ინსპექცია;

¹⁵⁴. 02.02.09. , N16-17-8/05-642 და 06.04.09., N16-17-08/05-2004;

¹⁵⁵ . 5 წლისა 4 თვის შემდეგ N19-05/1310 წერილი მიწერილია ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურზე - მაზუთის გადმოზარებაზე უფლებამოსილი პირის გამოყოფაზე;

¹⁵⁶. N43126-21-09;

¹⁵⁷. N4/75;

¹⁵⁸. N4/77-13წ-70;

¹⁵⁹. N4/77-13;

¹⁶⁰. N0002301089;

¹⁶¹. დადგენილება სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ.

- გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 19 მარტის წერილის თანდართული დადგენილებით,¹⁶² 2012 წლის 16 მარტის წერილით¹⁶³ თანდართული დადგენილებით¹⁶⁴ ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 28 დეკემბერს წერილის თანდართული დადგენილებით¹⁶⁵, ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 6 ივლისის წერილით თანდართული დადგენილებით¹⁶⁶ და ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 25 ოქტომბრის წერილით თანდართული დადგენილებებით¹⁶⁷ სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული შვიდი ცალი ჩოგანბადე, ექვსი ცალი ელექტრო შოკური აპარატი, ხუთი ცალი აკუმულატორი, ორი ცალი გასაბერი ნავი, ჰაერის ტუმბო, ფანარი, ნიჩაბი და კონბინიზონი¹⁶⁸;
- შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 2 აპრილის წერილის¹⁶⁹ მიხედვით სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ა/მ „მერსედეს-307D KAKI“ და ა/მ „DODGE RAM“ ავთომობილების შედეგად მიღებული ჯარით;
- შემოსავლების სამსახურის ეკონომიკური საზღვრის დაცვის დეპარტამენტის 2012 წლის 31 მაისის წერილით¹⁷⁰ სახელმწიფო საკუთრებაში გადმოცემული 1,000 კგ. ჯარით;
- მცხეთის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 8 დეკემბრის წერილის თანდართული განაჩენით¹⁷¹, სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული გლუვლიანი ორლულიანი¹⁷² თოფი და თოფის 1 ცალი ვაზნა; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 8 დეკემბრის წერილის¹⁷³ თანდართული განაჩენით¹⁷⁴ სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ცეცხლსასროლი იარაღი „JERICHO 941 FBL“ , 8 ცალი ვაზნა და „მაკაროვის“ სისტემის პისტოლიტი;
- გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 19 მარტის წერილით¹⁷⁵, თანდართული დადგენილებით¹⁷⁶, სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული გლუვლიანი სანადირო თოფი;

¹⁶². საქმე N4/37-2012;

¹⁶³. Nა2-132-2012;

¹⁶⁴. N4/594-11;

¹⁶⁵. საქმე N4/ა-265-11;

¹⁶⁶. საქმე N4/ა-62-12;

¹⁶⁷. საქმე N4/ა-187-11 და N 4/ა-189-11;

¹⁶⁸. 2014 წლის 21 აგვისტოს გენერალური დირექტორის ბრძანების N2737-ის მიხედვით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შუალედური დასკვნა დანართი N2 და დანართი N4;

¹⁶⁹. N21-09/23279;

¹⁷⁰. N21-10/38663;

¹⁷¹. საქმე N1/777-11;

¹⁷². N13737;

¹⁷³. 1/5183-11;

¹⁷⁴. N002270911001;

¹⁷⁵. N4-6-2012;

¹⁷⁶. 2011 წლის 5 იანვარი საქმე N4/6-2012.

➤ 2013 წლის 18 აპრილს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს შიდა ქართლის და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს წერილით¹⁷⁷ სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ს.ს „დელიდორის“ მოძრავი ქონება¹⁷⁸. კერძოდ: ბლანშერის აპარატი, მეორადი მოხმარების - ღირებულებით 10.0 ათასი ლარი და მუყაოს ყუთები მეორადი მოხმარების 275 ცალი ღირებულებით 137 ლარი. მაშინ როდესაც აღნიშნული ქონება განთავსებული იყო ს.ს „დელიდორი“-ს ტერიტორიაზე - მცხეთის რაიონში, სოფელ ნავაზარში, ხოლო ქონების გადმობარების პროცედურები მომსახურების სააგენტოს მიერ დაწყებულია 2014 წლის აგვისტოში (ერთი წლის და 4 თვის შემდგომ), რაც ჩამორთმეული ქონების დაზიანების რისკს ზრდიდა. 2014 წლის 5 აგვისტოს მიწერილია წერილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს შიდა-ქართლისა და მცხეთა მთიანეთის სააღსრულებლო ბიუროსათვის გადმობარებაზე უფლებამოსილი პირის გამოყოფის შესახებ, რასაც აღსრულების ეროვნული ბიუროსაგან რეაგირება არ მოყოლია, მას შემდეგ რაც აუდიტის ჯგუფი დაინტერესდა აღნიშნული საკითხით მომსახურების სააგენტომ ხელმეორედ მიწერა აღსრულების ეროვნულ ბიუროს წერილი 2014 წლის 25 დეკემბერს;

➤ მომსახურების სააგენტოში 2012 წლის 14 დეკემბერს მიღებული წერილის თანდართული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის განაჩენის საფუძველზე¹⁷⁹ სახელმწიფო საკუთრებაში მიექცა სს „კორ სტანდარტ ბანკში“ დამნაშავე პირის ანგარიშზე განთავსებული 3.2 ათასი ლარი. მომსახურების სააგენტომ, 2012 წლის 26 დეკემბერს სს „კორ სტანდარტ ბანკს“ წერილობით¹⁸⁰ აცნობა მხოლოდ სახელმწიფო ხაზინის მონაცემების შესახებ. გაგზავნილ წერილს თან არ ახლდა შესაბამისი საგადახდო დავალება და სასამართლოს განაჩენი, შესაბამისად ბანკი მოკლებული იქნებოდა შესაძლებლობას 3.2 ათასი ლარი მიემართა ბიუჯეტში. ჩვენ ვერ მივიღეთ მტკიცებულება, რომ აღნიშნული თანხა მიქცეულია სახელმწიფო საკუთრებაში.

¹⁷⁷. N A12000647-013/005;

¹⁷⁸. განკარგულება N A12000647-013/001 და N A 12000647-013/002;

¹⁷⁹. საქმე N1/8-42-12 2012 წლის 6 აპრილი;

¹⁸⁰. N19-05/2906.

7.3 დაგვიანებით შესრულებული გადაწყვეტილებები

შემთხვევები როდესაც საქონლის ადგილზე დაფიქსირება (დათვალიერება), მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და რეალიზება არ განხორციელდა გონივრულ ვადაში

➤ შემოსავლების სამსახურის გაფორმების დეპარტამენტმა, 2012 წლის 27 თებერვლის წერილით¹⁸¹, მომსახურების სააგენტოს შეატყობინა, რომ შ.პ.ს „ბათუმი პეტროლიუმს“ სურდა სახელმწიფო საკუთრებაში გადმოეცა მის მფლობელობაში არსებული მოძრავი ქონება (ნავთობპროდუქტების ნარჩენები).

შემოსავლების სამსახურის წერილზე თანდართული - შ.პ.ს „ბათუმი პეტროლიუმ“-ს წერილის¹⁸² თანახმად, რომელსაც საფუძვლად უდევს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის დასკვნა¹⁸³, ქ. ბათუმში თამარის დასახლებაში ბარცხანის სარეზერვუარო პარკში განთავსებული იყო ნავთობპროდუქტების ნარჩენები, კერძოდ: N56 რეზერვუარში 884,800 ლიტრი - საერთო ღირებულებით 353.9 ათასი ლარი, N68 რეზერვუარში 192,400 ლიტრი ნავთობპროდუქტების ნარჩენი საერთო ღირებულებით 57.7 ათასი ლარი და N510 რეზერვუარში 717,600 ლიტრი ნარჩენი ღირებულებით 358.8 ათასი ლარი, სულ 1,794,800 ლიტრი 770.4 ათასი ლარის ღირებულებით.

2012 წლის 30 მაისს მომსახურების სააგენტომ სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადმოცემული საქონელი საკუთრებაში მიიღო და საპასუხისმგებლო შენახვაზე მიაბარა ბათუმი პეტროლიუმის დირექტორს¹⁸⁴.

პირველად საქონლის სარეალიზაციოდ გატანა განხორციელდა 2014 წლის 10 ოქტომბრის¹⁸⁵ ბრძანებით¹⁸⁶, რომლის საწყისი სარეალიზაციო ფასი 770.4 ათას ლარს შეადგენდა, აუქციონი არ შედგა. მეორე აუქციონი გამოცხადდა მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 22 ოქტომბრის ბრძანებით¹⁸⁷, 25%-ანი ფასდაკლებით - ღირებულებით 577.8 ათასი ლარი, რომელიც ასევე არ შედგა. მესამე აუქციონზე, რომელიც გამოცხადდა 2014 წლის 3 ნოემბრის ბრძანებით¹⁸⁸ და სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრა 385.2 ათასი ლარით¹⁸⁹, საქონელი გაიყიდა 392.9 ათას

¹⁸¹ . N18673-21-09;

¹⁸² . N2-02/12, 24.02.2012;

¹⁸³ . N018443 - 04/3-03-10/1., 28.09.2011;

¹⁸⁴ . მიღება-ჩაბარების აქტი 30 მაისი 2012 წელი;

¹⁸⁵ . მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 28 თვის შემდეგ;

¹⁸⁶ . № 3376, 10.10.2014.;

¹⁸⁷ . ბრძანება № 3513;

¹⁸⁸ . ბრძანება № 3649;

¹⁸⁹ . 50% -იანი ფასდაკლება.

ლარად¹⁹⁰. ანუ, აღნიშნული საქონელი გაიყიდა ეროვნული ბიუროს 2011 წელს დადგენილ საბაზრო ფასთან შედარებით 377.5 ათასი ლარით ნაკლებ ფასში.

ნავთობისა და ნავთობპროდუქტების სპეციფიკიდან გამომდინარე დროის ფაქტორი უარყოფითად მოქმედებს საქონლის ხარისხსა და შესაბამისად მის ღირებულებაზე, მომსახურების სააგენტოს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები თუ რატომ მოხდა აღნიშნული საქონლის, სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევიდან, გაყიდვის პროცედურების დაწყება ორი წლის და ოთხი თვის შემდეგ. ასევე მსოფლიო ბაზარზე 2013-2014 წლებში შეინიშნება ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ღირებულების (ფასების) მკვეთრი შემცირება (50 - 55%). ადგილი აქვს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების არაეფექტურ განკარგვას;

➤ მომსახურების სააგენტოში 2011 წლის 27 ივნისს შემოსულია წერილი¹⁹¹ წყალტუბოს მაგისტრატის სასამართლოს¹⁹² დადგენილების აღსრულების შესახებ, რომლის საფუძველზე სახელმწიფო საკუთრებაში მიექცა 4,583 კგ ალუმინის ჯართი, 1,021 კგ სპილენძის ჯართი, 294 კგ თითბერის ჯართი და 91 კგ ფოლადის ჯართი. მომსახურების სააგენტომ აღნიშნული ქონების გადმობარების პროცედურები დაიწყო მას შემდეგ, რაც აუდიტის სამსახურის თანამშრომლები დაინტერესდნენ აღნიშნული დადგენილების შეუსრულებლობის მიზეზებით. 2014 წლის 17 დეკემბერს¹⁹³ გაფორმებულია მიღება-ჩაბარების აქტი, სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების მიღებისა და საპასუხისმგებლო შენახვაზე მიბარების შესახებ - ჩაბარდა იგივე პიროვნებას ვისაც უნდა ჩამორთმეოდა აღნიშნული ქონება. მომსახურების სააგენტოს ქონების შეფასების სამსახურის დასკვნით¹⁹⁴ აღნიშნული საქონლის საბაზრო ღირებულება 19.9 ათასი ლარს შეადგენს;

➤ ლაგოდეხის მაგისტრის სასამართლოს 2013 წლის 25 ივლისის წერილის თანდართული დადგენილებით¹⁹⁵ სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეულია 2633 ლიტრი დიზელის საწვავი. მომსახურების სააგენტომ დიზელის საწვავი დააფიქსირა 2014 წლის 11 მარტს¹⁹⁶. 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღნიშნული ქონება რეალიზებული არ არის;

¹⁹⁰ განმეორებით აუქციონებზე გატანილი საქონლის თავდაპირველი სარეალიზაციო ფასი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N771 „სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების საფასურის განსაზღვრის, ამ ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესისა და პირობები“ მუხლი 11-ის მიხედვით;

¹⁹¹ . N200;

¹⁹² . 19.04.2011., N4/171;

¹⁹³ . 41 თვის შემდეგ;

¹⁹⁴ . N 12, 08.01.2015;

¹⁹⁵ . საქმე N 4/226-13;

¹⁹⁶ . 4 თვის შემდეგ.

- 2012 წლის 13 იანვრის ხობის რაიონული სასამართლოს წერილით¹⁹⁷ თანდართული დადგენილებით¹⁹⁸ სახელმწიფო საკუთრებაში მიექცა ცეცხლსასროლი გლუვლიანი სანადირო თოფი. აღნიშნული ქონება მომსახურების სააგენტომ მიიღო 2014 წლის 18 დეკემბერს¹⁹⁹;
- შემოსავლების სამსახურის 2013 წლის 6 დეკემბრის წერილით²⁰⁰ სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეულია 50 ცალი საბრძოლო ვაზნა. აღნიშნული საქონელი სახელმწიფო საკუთრებაში მიღებულია 2014 წლის 10 დეკემბერს²⁰¹;
- დაცული ტერიტორიების სააგენტოს კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის 2013 წლის 13 მაისის წერილზე²⁰² თანდართული ფოტის საქალაქო სასამართლოს დადგენილებებით²⁰³, სახელმწიფო საკუთრებაში მიექცა 52.220 მ³ მურყნის ჯიშის საშემე ხე-ტყე. აღნიშნული ქონების შემდგომი განკარგვის მიზნით ორგანიზაციული ღონისძიებების გასატარებლად 2013 წლის 20 აგვისტოს (სამი თვის შემდგომ) ხობის რაიონის სოფელ პატარა ფოთში გამოცხადდა მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს რეგიონული სამმართველოს მთავარი სპეციალისტი. 52.220 მ³ ხე-ტყე ადგილზე არ აღმოჩნდა²⁰⁴ რის შესახებაც ეცნობა სამართალდამცავ ორგანოებს²⁰⁵;
- ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს 2012 წლის 12 აპრილის დადგენილებით²⁰⁶ სახელმწიფო საკუთრებაში მიექცა 600 კგ ჯართი²⁰⁷, რომელიც ადგილზე დაფიქსირდა 2013 წლის 22 თებერვალს, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმებულია 2014 წლის 19 დეკემბერს²⁰⁸;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს, ქვემო ქართლის სააღსრულებლო ბიუროს 2011 წლის 13 ოქტომბრის წერილით²⁰⁹ სახელმწიფო საკუთრებაში მიექცა სხვადასხვა დასახელების ლითონის მილები და კოსტრუქციები. სააგენტომ აღნიშნული ქონება 2013 წლის 17 მაისს დააფიქსირა (დაათვალიერა) წლისა და შვიდი თვის შემდეგ, რის შედეგადაც მიქცეული ქონებიდან ადგილზე არ აღმოჩნდა 19 ცალი ლითონის კონსტრუქცია, ხოლო სააღსრულებლო ფურცელში დაფიქსირებული მილების რაოდენობა არ

¹⁹⁷. N4/1-259-2011;

¹⁹⁸. საქმე N4/259-2011;

¹⁹⁹. მიღება-ჩაბარების აქტი N000008595;

²⁰⁰. N21-10-19/93073;

²⁰¹. ერთი წლის შემდეგ;

²⁰². N25-03/145;

²⁰³. 19.02.2013., N4/14-2013; 19.02.2013. ,N4/12-2013; 19.02.2013., N4/15-2013; 19.02.2013., N4/13-2013;

²⁰⁴. სააგენტოს თანამშრომლის გ. გეგეშიძის განმარტებით ხე - ტყე ადიდებულმა მდინარემ წაიღო;

²⁰⁵. წერილი N19-05/1749/დ;

²⁰⁶. N4/ა-20-12;

²⁰⁷. წერილი მომსახურების სააგენტოში შემოსულია 2012 წლის 2 მაისს;

²⁰⁸. ორი წლის და შვიდი თვის შემდეგ;

²⁰⁹. წერილი მიღებულია განმეორებით - N64872.

შეესაბამებოდა ადგილზე არსებულს. აღნიშნულთან დაკავშირებით სააგენტომ ქვემო ქართლის სააღსრულებლო ბიუროს²¹⁰ აცნობა 2013 წლის 23 სექტემბერს;

➤ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 31 ივლისის განაჩენით²¹¹ სახელმწიფო საკუთრებაში მიექცა 19,300 ლარის ღირებულების ავტომობილი “MERCEDEC-BENZ“ E200 და სს „თიბისი“ ბანკში გახსნილ ანგარიშზე რიცხული ფულადი თანხა 21,559 აშშ დოლარის ოდენობით. ავტომობილი სახელმწიფო საკუთრებაში მიექცა 2013 წლის 13 სექტემბერს²¹².

2013 წლის 16 სექტემბერს მომსახურების სააგენტომ წერილობით²¹³ მიმართა სს „თიბისი“ ბანკს, სადაც მიუთითა სახელმწიფო ხაზინის რეკვიზიტები და სთხოვა სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული თანხის ბიუჯეტში გადარიცხვა. ბანკმა საპასუხო წერილით²¹⁴, აღნიშნული თანხის ბიუჯეტში გადარიცხვისათვის მოითხოვა სასამართლო განაჩენის და საგადახდო დავალების გაგზავნა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოსათვის გაგზავნილი წერილით²¹⁵ სააგენტო უარს აცხადებდა მიქცეული ფულის განკარგვაზე: *„რამდენადაც „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მომსახურების სააგენტო განკარგავს სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეულ მოძრავ ქონებას, შესაბამისად იგი მოკლებულია სამართლებრივ შესაძლებლობას უზრუნველყოს მსჯავრდებულის პირად საბანკო ანგარიშზე არსებული ფულადი თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვა, შესაბამისი საგადახდო საბუთის წარდგენის გზით“.* სააგენტოს აღნიშნული განმარტება არ შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, რამდენადაც სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეულ ფულს (მოძრავ ქონებას) განკარგავს მომსახურების სააგენტო.

საბოლოოდ მომსახურების სააგენტომ, სს „თიბისი“ ბანკს 2013 წლის 4 ნოემბერს გადაუგზავნა სასამართლოს განაჩენი, ხოლო 2014 წლის 23 იანვარს საგადახდო დავალება, რის შემდეგაც ბანკმა, მომსახურების სააგენტომ სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევაზე წერილის მიღებიდან ხუთი თვის შემდეგ, 21,559 აშშ დოლარი გადარიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში²¹⁶.

²¹⁰ . წერილი N19-05/1829;

²¹¹ . საქმე N1/371/13;

²¹² . მიღება-ჩაბარების აქტი - ქ. რუსთავი;

²¹³ . N 19-05/1787, 16.09.2013;

²¹⁴ . N426/124-38 , 20.09.2013.

²¹⁵ . N 19-05/1969, 24.10.2013;

²¹⁶ . ხუთი თვის შემდეგ.

7.4 სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული და განსაკარგავად გადმოცემული ქონების ნაწილობრივ მიღება და განკარგვა

➤ ფოთის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 3 დეკემბრის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 3 ივნისის განაჩენების²¹⁷ და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 12 ოქტომბრის განჩინების²¹⁸ საფუძველზე, რომელიც შეეხებოდა ნარკოტიკული საშუალება „კოკაინის“ ტრანზიტიტ საერთაშორისო გადაზიდვის ფაქტს, საქართველოს სსკ - ის 52 - ე მუხლის საფუძველზე ჩამოერთვათ საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი სხვადასხვა ნივთები (ქონება), მათ შორის ფულადი სახსრები სხვადასხვა ვალუტაში. ამავე საქმეზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს - თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2012 წლის 27 აპრილის წერილის²¹⁹ თანდართული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით²²⁰ დაუსაბუთებელ ქონებად იქნა მიჩნეული ასევე სხვადასხვა მოძრავი ქონება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით²²¹ სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამორთმეული ქონება სააგენტომ გადმოიბარა სრულად.

რაც შეეხება ფოთის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 3 დეკემბრის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 3 ივნისის განაჩენებს სააგენტოს გადმობარებული აქვს აღნიშნული განაჩენების საფუძველზე ჩამორთმეული ქონების ნაწილი კერძოდ: საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი, 1,684,670 (ერთი მილიონ ექვსასსამოცდაოთხი ათას ექვსასსამოცდაათი) ევროდან, 2012 წლის 5 ოქტომბერს, შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტისაგან, სააგენტოს გადმობარებული აქვს 1,192,960 (ერთი მილიონ ასოთხმოცდათორმეტი ათას ცხრაასსამოცი) ევრო, ანუ 491,110 (ოთხასოთხმოცდათერთმეტი ათას ასათი) ევროთი ნაკლები. ასევე გადმოუბარებელია ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა²²², 2 ცალი ჩამკეტი (ე.წ. აბოიმა) და მართკუთხა გირები.

ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით თბილისის სააღსრულებო ბიურო წერილობით მოითხოვდა სააღსრულებლო ფურცლის აღსრულების შესახებ

²¹⁷. N1/91 – 10 და N1/8 - 25 – 11;

²¹⁸. N409აპ - 11;

²¹⁹. NA12027324 – 005/002;

²²⁰. მოსამართლე - ლაშა ქოჩიაშვილი, საქმე N2/1419 – 2011;

²²¹. საქმე N2/1419 – 2011;

²²². NOV0138901.

ინფორმაციის მიწოდებას, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლო²²³ კი, ინფორმაციის მიწოდებას-ფოტის საქალაქო სასამართლოსთვის, რაც სააგენტოს მხრიდან არ განხორციელებულა.

აღნიშნული სასამართლო განაჩენების, განჩინების და გადაწყვეტილების საფუძველზე სახელმწიფო საკუთრებაში მისაქცევი ქონების მიღება - გადმობარების შესახებ (აღსრულების შესახებ) ინფორმაციის მიწოდება მოითხოვა საქართველოს მთავარმა პროკურატურამ 2013 წლის 23 იანვარს²²⁴ - მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში წარმოებაში მყოფ სისხლის სამართლის საქმესთან²²⁵ დაკავშირებით. ასევე პროკურატურა ითხოვდა შეურულებლობის შემთხვევაში მათ მიზეზებზე წერილობითი ინფორმაციის მიწოდებას.

სააგენტომ საპასუხო წერილში²²⁶ დაფიქსირა გადმოუბარებელი 491,110 ევროსა და სხვა ქონების შესახებ, ხოლო მისი მიზეზი განმარტებული არ არის.

სააგენტომ ვერ წარმოადინა გადმოუბარებელ 491,110 ევროზე და სხვა ქონებაზე სამართალდამცავ ორგანოებზე ან სასამართლოებზე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებები;

➤ მომსახურების სააგენტოში 2013 წლის 2 თებერვალს შემოსულია რუსთავის საქალაქო სასამართლოს წერილის²²⁷ თანდართული სასამართლოს განაჩენით და განკარგულებით განაჩენის აღსასრულებლად მიქცევის შესახებ²²⁸, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეულია 6,041 ლარის ღირებულების 2,746 ლიტრი დიზელის საწვავი. 2013 წლის 30 სექტემბერს (7 თვის შემდეგ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის ქვემო ქართლის გამომძიებელთან გაფორმებულია მიღება-ჩაბარების აქტი და სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეულია 1,600 ლიტრი დიზელის საწვავი. დანარჩენი 1,146 ლიტრი ბენზინის შესახებ მომსახურების სააგენტომ 2014 წლის 25 დეკემბერს (მას შემდეგ რაც აუდიტის ჯგუფმა მოითხოვა ინფორმაცია აღნიშნული განაჩენის აღსრულების შესახებ) წერილობით²²⁹ მიმართა საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს დარჩენილი დიზელის საწვავის სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის შესახებ. 2015 წლის 1 იანვრის

²²³ . ფოტის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 3 დეკემბრის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 3 ივნისის განაჩენებთან და უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 12 ოქტომბრის განჩინებასთან დაკავშირებით. წერილი N 587 – 2/18 , 2012 წლის 14 აპრილი;

²²⁴ . N12/8663;

²²⁵ . N0741311.12801;

²²⁶ . N19-05/196, 1.02.2013;

²²⁷ . N1-274-12;

²²⁸ . 24.01. 2013., საქმე N1/274-12 (N092050711003);

²²⁹ . N19-05/2079.

მდგომარეობით აღნიშნული საქონელი სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული არ არის;

➤ პროფესიულმა კოლეჯმა „მერმისმა“, 2013 წლის 28 მარტის წერილით²³⁰, მომსახურების სააგენტოს შემდგომი განსაკარგვის მიზნით გადმოსცა 9,311 კილოგრამი ჯართი. 2013 წლის 17 ივნისს მომსახურების სააგენტომ მიიღო ჯართი 6,992 კილოგრამის ოდენობით, ალუმინის ჯართი - 303 კილოგრამი და სპილენძის ჯართი - 16 კილოგრამი, ხოლო დარჩენილი 2,000 კილოგრამი ჯართის მხოლოდ ადგილზე დაფიქსირება განხორციელდა²³¹. აუდიტის ჯგუფის აღნიშნული საკითხით დაინტერესების და ინფორმაციის მოთხოვნის შემდგომ მომსახურების სააგენტომ მოახდინა 2,000 კილოგრამი ჯართის შეფასება²³² 2014 წლის 3 დეკემბერს²³³ და სარეალიზაციოდ გაიტანა 2014 წლის 5 დეკემბერს²³⁴;

➤ ახალციხის რაიონული სასამართლოს²³⁵ განაჩენის მიხედვით სახელმწიფო საკუთრებაში მიექცა სხვადასხვა დასახელების 1,171 მ³ ხე - ტყე. მომსახურების სააგენტოს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ სააგენტოს თანამშრომლებმა (სახელმწიფო საკუთრებაში გადმოზარებამდე) ადგილზე დააფიქსირეს²³⁶ მხოლოდ 95 მ³ სხვადასხვა დასახელების ხე-ტყე, შესაბამისად არ აღმოჩენილის²³⁷ რაოდენობა შეადგენს 1,076 მ³ - ს, მაშინ როდესაც მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებმა დაფიქსირების ოქმებში ასახეს მხოლოდ 1,004 მ³ არ აღმოჩენილი მერქნული რესურსი. მომსახურების სააგენტოს მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის მიწერილია წერილები 2013 წლის 23 აგვისტოს²³⁸ და 2013 წლის 10 სექტემბერს²³⁹ არ აღმოჩენილ 1,004 მ³ - ზე. სხვაობამ კი შეადგინა 72 მ³.

აუდიტის ანგარიშის დამტკიცებამდე²⁴⁰, მომსახურების სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით²⁴¹, ანგარიშის 7.2, 7.3 და 7.4 პუნქტებში დაფიქსირებულ (ასახულ) ზოგიერთ შენიშვნებზე სააგენტოს განხორციელებული აქვს რეაგირება.

²³⁰. N01-155;

²³¹. დაფიქსირების ოქმი 17 ივნისი 2013 წელი;

²³². 760 ლარად;

²³³ მომსახურების სააგენტოს ქონების შეფასების სამსახურის დასკვნა N966;

²³⁴. ბრძანება N 4025;

²³⁵. საქმე N1/316-11 წ. 29.07.2013;

²³⁶. დაფიქსირების ოქმები 15.08.2013; 16.08.2013; 23.08.2013; 02.09.2013; 04.09.2013; 04.09.2013;

²³⁷. 1171-95=1076;

²³⁸. N 19-05/1764;

²³⁹. N 19-05/1760/ს;

²⁴⁰. 2015 წლის 1 იანვრიდან;

²⁴¹ მთელ რიგ შემთხვევაში თანდართულია დოკუმენტები.

7.5 ადგილზე დაფიქსირებები და მასთან დაკავშირებული ხარვეზები

მომსახურების სააგენტოში დანერგილი პრაქტიკის მიხედვით, ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების გადმოზარებად ხდება ადგილზე მისი დაფიქსირება (დათვალიერება), რაზედაც ფორმდება შესაბამისი ოქმი²⁴², რომელსაც ხელს აწერს მომსახურების სააგენტოს თანამშრომელი, სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების მიზარებაზე მატერიალურ-პასუხისმგებელი პირი და გადმოზარებაზე პასუხისმგებელი პირი (უმეტეს შემთხვევაში სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენელი). მომსახურების სააგენტოში არ არსებობს დამტკიცებული უნიფიცირებული ფორმა-სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული და განსაკარგავად გადმოცემული მოძრავი ქონების ადგილზე დაფიქსირების ოქმების.

დაფიქსირების ოქმებში არ არის განსაზღვრული თუ რა მატერიალურ-პასუხისმგებლობა აკისრია სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების მიზარებაზე პასუხისმგებელ პირს. ჩამორთმევის ადგილას გაფორმებულ დაფიქსირების ოქმებში, ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონება მიზარებულია²⁴³ იმავე პირისათვის, ვისაც ჩამოერთვა აღნიშნული ქონება, ზოგიერთ შემთხვევაში მატერიალურად პასუხისმგებელი პირი განსაზღვრულიც არ არის. მაგალითად:

➤ 2012 წლის 12 სექტემბერს მომსახურების სააგენტოში შემოსულ წერილის²⁴⁴ თანდართული²⁴⁵ ბოლნისის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი სასამართლოს სააღსრულებლო ფურცლისა და დადგენილების საფუძველზე, სახელმწიფო საკუთრებაში მიექცა ჩამორთმეული 30 (ოცდაათი) ტონა ჯართი²⁴⁶. 2012 წლის 1 ნოემბერს სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების ადგილზე დაფიქსირების ოქმის მიხედვით - 30 ტონა ჯართი ინახება დაულუქავ მდგომარეობაში მატერიალურ პასუხისმგებლობის ქვეშ ბოლნისის რაიონში მცხოვრებ სამართალდამრღვევ პირთან, დაფიქსირების ოქმში არ არის მატერიალურ-პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა.

2012 წლის 15 ნოემბრს²⁴⁷ 30 ტონა ჯართი გატანილ იქნა ინტერნეტ-აუქციონზე და მისი სარეალიზაციო ფასი განისაზღვრა 9,000 ლარის ოდნეობით²⁴⁸. ელექტრონულ

²⁴². სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების ადგილზე დაფიქსირების ოქმი;

²⁴³. შენახვაზე და დაცვაზე;

²⁴⁴. ბოლნისის რაიონული სასამართლოდან;

²⁴⁵. საქმე N4/1-98-12;

²⁴⁶. სააღსრულებლო ფურცელი 03.09.2012 და დადგენილება 01.05.2012;

²⁴⁷. ბრძანება - N 2377;

²⁴⁸. შეფასების დასკვნა 05.11.2012. N335.

აუქციონზე ვაჭრობის დაწყების დრო 2012 წლის 17 ნოემბერი²⁴⁹ და დასრულების დრო 2012 წლის 26 ნოემბერი²⁵⁰. აუქციონი არ შედგა. აუქციონის დასრულების დღეს 26 ნოემბერს მომსახურების სააგენტოში შემოსულია სამართალდამრღვევი პირის განცხადება, რომლის მიხედვით 2012 წლის 1 ნოემბერს მომსახურების სააგენტოს მიერ დაფიქსირებული ოქმი არის არასწორი და დაფიქსირებული ჯარით არის სხვა პიროვნების საკუთრება.

მომსახურების სააგენტოს მიერ 2012 წლის 30 ნოემბერს შემდგომი რეაგირებისათვის მიწერილი იქნა წერილი შსს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს მარნეულის რაიონულ სამმართველოსთვის. 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 30 ტონა ჯარით არ არის სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული და რეალიზებული;

➤ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2011 წლის 28 აპრილის წერილის²⁵¹ თანდართული დადგენილებით²⁵², სახელმწიფო საკუთრებაში მიექცა სახერხი საამქროს ჩარჩო ხერხი და ცირკული²⁵³. მომსახურების სააგენტოს მიერ აღნიშნული ქონება დაფიქსირებულია 2013 წლის 22 თებერვალს²⁵⁴ და შესანახად ჩაბარდა სამართალდამრღვევ პირს. ქონება შეფასებულია 2014 წლის 23 ოქტომბერს²⁵⁵, აუქციონზე გასაყიდად გატანილია და გაყიდულია 2014 წლის 24 ოქტომბერს²⁵⁶;

➤ ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 5 დეკემბრის წერილზე²⁵⁷ თანდართული განჩინებით²⁵⁸ სახელმწიფო საკუთრებაში მიექცა ჩამორთმეული 800 კვ შავი ლითონის ჯარით. 2012 წლის 10 აპრილს გაფორმებული დაფიქსირების ოქმით აღნიშნული ქონება შესანახად ჩაბარდა სამართალდამრღვევ პირს;

➤ ახალციხის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 28 ნოემბრის წერილზე²⁵⁹ თანდართული განაჩინით²⁶⁰ სახელმწიფო საკუთრებაში მიექცა ჩამორთმეული 12.658 მ³ ხე-ტყე. მომსახურების სააგენტოს მიერ გაფორმებული²⁶¹ დაფიქსირების ოქმით აღნიშნული ხე-ტყე ჩაბარდა სამართალდამრღვევ პირს;

²⁴⁹ . 12:00 საათი;

²⁵⁰ . 14:00 საათი;

²⁵¹ N20-08-01-25/955;

²⁵² . გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წერილი დადგენილება N16220 ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ;

²⁵³ . სამართალდამრღვევი პირი ვ. კლდიაშვილი;

²⁵⁴ . ერთი წლის და 8 თვის შემდეგ;

²⁵⁵ . ქონების შეფასების სამსახურის მიერ - N 798, 1800ლარად;

²⁵⁶ . ბრძანება N 3563;

²⁵⁷ . N4/256-11;

²⁵⁸ . საქმე N050510011041089;

²⁵⁹ . N1/450-11წ.;

²⁶⁰ . 28 ნოემბერი 2011 წელი 1/450-11წ;

²⁶¹ . 2012 წლის 23 აპრილის.

➤ 2013 წლის 27 ივნისს, სააგენტოში შემოსულია აღსრულების ეროვნული ბიუროს, შიდა-ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებლო ბიუროს წერილი²⁶² და მასზე თანდართული განკარგულება²⁶³, რომლის საფუძველზე სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეულია ქარხნული წარმოების მზესუმზირის სარჩევი დანადგარი, რომლის ღირებულება 42,500 ლარს შეადგენდა²⁶⁴. აღნიშნული საქონელი ადგილზე დაფიქსირებულია²⁶⁵ 2013 წლის 4 ივლისს²⁶⁶, ხოლო 2014 წლის 30 სექტემბერს რეალიზებულია²⁶⁷ 2,167 ლარად²⁶⁸. 2014 წლის 10 ოქტომბერს ადგილზე მისულ მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებს და შიდა-ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებლო ბიუროს აღმასრულებელს აღნიშნული დანადგარი დახვდათ გამარცვული, რაზედაც მომსახურების სააგენტომ შესაბამისი წერილობითი შეტყობინება გაუგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაშურის რაიონულ სამმართველოს²⁶⁹.

მიზანშეწონილი იქნება მიქცეული და განსაკარგავად გადმოცემული ქონების თავისდროული და უდანაკარგო გადმობარება-განკარგვისათვის, ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, მარეგულირებელ ნორმებში დაკონკრეტდეს ცალკეული სასაქონლო ჯგუფებისათვის მიღებისა და განკარგვის პროცედურების ვადები.

7.6 სავაჭრო მაღაზიებით რეალიზაციები

სააუდიტო პერიოდში მომსახურების სააგენტომ სავაჭრო მაღაზიების მეშვეობით განახორციელა 2,143,668 ლარის ღირებულების პროდუქციის რეალიზაცია, მათ შორის:

წელი	ღირებულება
2012	695,352
2013	1,442,316

²⁶² . 24.06.2013. , NA11060047-018/006;

²⁶³ . 24.06.2013. , NA11060047-018/005;

²⁶⁴ . განკარგულებით;

²⁶⁵ . ოქმი - ქ.ხაშური ბეჟაურის ქუჩა;

²⁶⁶ . დაფიქსირების ოქმში არ არის განსაზღვრული მატერიალურად პასუხისმგებელი პირი;

²⁶⁷ . ბრძანება N3216;

²⁶⁸ . 95%-იანი ფასდაკლებით, მეჭვიდმეტე აუქციონი;

²⁶⁹ . წერილი N19-05/1561.

2013 წლის 26 აგვისტოს სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეულია საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოტანილი 80 ცალი მობილური ტელეფონი - “Iphone 5”²⁷⁰ და ერთი ცალი პლანშეტური კომპიუტერი „IPAD”²⁷¹.

80 ცალი მობილური ტელეფონიდან 63 ერთეული უსასყიდლოდ გადაცემულია სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის²⁷² : ფინანსთა სამინისტროსათვის 19 ცალი; ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისათვის 20 ცალი; შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის 20 ცალი; მომსახურების სააგენტოსათვის 2 ცალი; ფინანსთა სამინისტროს ანალიტიკური სამსახურისათვის 2 ცალი, ხოლო დარჩენილი 17 ერთეული რეალიზებულია სავაჭრო მაღაზიის მეშვეობით (ერთეულის ღირებულება 1,000 ლარი) ისე, რომ მობილური ტელეფონები არ გასულა ინტერნეტ-აუქციონზე.

ასევე, ინტერნეტ-აუქციონზე გატანის გარეშე, სავაჭრო მაღაზიის მეშვეობით რეალიზებულია ქვემოთ წარმოდგენილი ოქროს ნაკეთობები (მვირფასი ქვებით):

ნომენკლატურა	აღწერა	საბაზო საზომი ერთეული	რაოდენობა	გასაყიდი ფასი
ოქროს ბეჭედი ინკრუსტირებული ხელოვნური ქვებით	7,06გრ, 585 სინჯი.	ცალი	1	360
ოქროს სამაჯური	6,97გრ, 585 სინჯი.	ცალი	1	355
ოქროს კულონი ხელოვნური თვლებით	7,2გრ, 585 სინჯი.	ცალი	1	367
ოქროს საყურე	10,42გრ, 585 სინჯი.	წყვილი	1	531
ოქროს საყურე	6,97გრ, 585 სინჯი.	წყვილი	1	355
საყურე საიუველირო მინით და ხელოვნური ქვებით	6.69 გრამი, 585 სინჯი	წყვილი	1	333
ოქროს სამაჯური	6,73 გრ. 585 სინჯი	ცალი	1	350
ოქროს ორეული (საყურეები და ბეჭედი) მვირფასი თვლებით	6,57 გრ. 585 სინჯი	კომპლექტი	1	342

²⁷⁰ . ორიგინალი ტელეფონი, დამტენით, ყურსასმენით, USB კაბელით;

²⁷¹ . თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი 4 ივლისი 2013 წელი, საქმე N1/1624-13 N092020713001;

მიღება-ჩაბარების აქტები 26.08.2013, 02.09.2013, 04.09.2013;

²⁷² . 20 ცალი შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის, 19 ცალი ფინანსთა სამინისტროსათვის 22 ცალი ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისათვის და 2 ცალი სსიპ ფინანსთა სამინისტროს ანალიტიკურ სამსახურისათვის.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის N771 ბრძანებით²⁷³ დამტკიცებული წესის შესაბამისად ქონების განკარგვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სააგენტოს გენერალური დირექტორი, მაგრამ აღნიშნულ შემთხვევაში სააგენტოს არ უმსჯელია სათანადოდ თუ განკარგვის რომელი ფორმა იქნებოდა ეკონომიურად გამართლებული.

7.7 ინტერნეტ-აუქციონით რეალიზაციები

მომსახურების სააგენტოს სააუდიტო პერიოდში ინტერნეტ-აუქციონის მეშვეობით რეალიზებული აქვს 8,069,332 ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების საქონელი. მათ შორის:

წელი	ღირებულება
2012	4,096,302
2013	3,973,030

მსხვილი შემსყიდველები:

კონტრაგენტი	შესყიდული საქონლის ნომენკლატურა	შესყიდული საქონლის ღირებულება
შპს "ავაზა"	ძვირფასი ქვები და ლითონები	472,233
შპს "გრუპპო ვია"	ქვა-ღორღი	272,850
ჯულიენ ვიოლე	სამეურნეო საქონელი	250,933
შპს "შ.პ.გ"	მანქანა-დანადგარები	219,000
ООО ирафтрансстрой	მანქანა-დანადგარები	197,841

²⁷³ . „სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების საფასურის განსაზღვრის, ამ ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესისა და პირობების, აგრეთვე რეალიზაციისა და ლიზინგის ფორმით გადაცემის შედეგად ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების თაობაზე“, მე - 6 მუხლი, 1 - ლი პუნქტი.

შპს „მეტალი“	სამეურნეო საქონელი	174,025
შპს ბელ-გეგბელ	მანქანა-დანადგარები	166,160

მოწოდებული ინფორმაციის შესწავლისას გამოვლინდა ისეთი შემთხვევები, როდესაც აუქციონზე გაყიდული ქონების ფასნამატი, 100%-ზე მეტად აღემატებოდა აუქციონზე გატანილ თავდაპირველ ღირებულებას. მაგალითად:

სრული დასახელება	საბაზო საზომი ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საწყისი ფასი	გაყიდულის ფასი	სხვაობა ფასებს შორის	%
ბრილიანტის თვლები	ცალი	2	247.00	494	2,650	2,156	436%
სამასალე მერქანი	მ3	33	130.00	4,295	13,115	8,820	205%
სატვირთო ავტომანქანა ზილ-131	ცალი	1	1,700.00	1,700	7,500	5,800	341%
583 სინჯის, 16,89 გრამი	ცალი	1	810.72	811	8,889	8,078	996%
ორთელის ქვაბი (1/9 დაშლილ მდგომარეობაში)	კომპლექტი	3	175.00	525	2,109	1,584	302%
ჯართი (ყოფილი სამაცივრო საამქროს დანადგარი)	ცალი	3	175.00	525	2,076	1,551	295%
ა/მანქანა TOYOTA COROLLA სახ.# VAX 163	ცალი	1	800.00	800	2,608	1,808	226%
ა/მანქანა ფორდ ტრანზიტი სახ. #WBW-874	ცალი	1	1,750.00	1,750	5,440	3,690	211%
მ/მ შტირები თავის	კომპლექტი	350	1.50	525	1,922	1,397	266%

სამაგრებით	ი						
ხის დასამუშავებელი ჩარხი	ცალი	1	340.00	340	1,124	784	231%
შავი ლითონის ჯართი	კბ	3,000	0.30	900	4,701	3,801	422%
შავი ლითონის ჯართი	კბ	2,100	0.30	630	3,291	2,661	422%
თბომცლელი	ცალი	2	110.00	220	1,605	1,385	630%
ოპელ ვექტრა	ცალი	1	600.00	600	1,968	1,368	228%
საწერი ქაღალდი რუხი	შეკვრა	3,775	0.11	415	1,990	1,575	379%
გენერატორი	ცალი	1	700.00	700	2,646	1,946	278%
დიზელგენერატორ ი	ცალი	1	1,500.00	1,500	5,820	4,320	288%
კვადროციკლი	ცალი	1	300.00	300	1,110	810	270%
ალმასის სეგმენტი	ცალი	3,000	0.02	60	3,234	3,174	5290 %
ავტომაქსანა VOLKSWAGEN JETA	ცალი	1	650.00	650	2,002	1,352	208%
ფეირვერკი match cracker	კოლოფი	10,000	0.05	500	2,010	1,510	302%
ფეირვერკი match cracker	კოლოფი	15,800	0.05	790	3,014	2,224	282%

7.8 ქონების განაწილება

2012-2013 წლებში მომსახურების სააგენტოს მიერ უსასყიდლოდ სხვადასხვა (საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო) ორგანიზაციებზე გადაცემულია 18,130.5 ათასი ლარის ღირებულების მოძრავი ქონება. მათ შორის 2012 წელს 14,511.5 ათასი ლარის, ხოლო 2013 წელს - 3,619 ათასი ლარის ღირებულების საქონელი :

კონტრაგენტი	2012	2013	სულ
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	7,950,290	-	7,950,290
სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“	-	1,786,752	1,786,752
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	944,838	783,566	1 728,404
სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი	1,000,000	-	1,000,000
სხვა	4,616,341	1,048,684	5,665,026

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის უსასყიდლოდ გადაცემულია მთლიანობაში 7,950,290 ლარის ღირებულების მოძრავი ქონება შემდგომი განკარგვისათვის. მათ შორის:

დასახელება	ღირებულება
ახალსოფლის მეცხოველეობის კომპლექსი	4,285,857
შპს "პროგრესი"-სათვის ჩამორთმეული მოძრავი ქონება	154,550
სს "ოკამი"-სათვის ჩამორთმეული მოძრავი ქონება	1,642,111
შპს "საქართველოს ღვინოები"-სათვის ჩამორთმეული მოძრავი ქონება	1,359,873
შპს "სამკერვალო ფაბრიკა ლაურა ღაჭავაძე"-სათვის ჩამორთმეული მოძრავი ქონება	450,250
შპს "სამკურნალო კომბინატი"-სათვის ჩამორთმეული მოძრავი ქონება	37,649
სხვა	20,000

მომსახურების სააგენტოს უსასყიდლოდ გადაცემული აქვს სხვადასხვა ორგანიზაციებზე 2,992,494 ლარის ღირებულების სატრანსპორტო საშუალებები²⁷⁴, კერძოდ:

დასახელება	რაოდენობა	ღირებულება
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	68	1,587,141
შპს საქართველოს ფოსტა	18	190,700
სხვადასხვა მუნიციპალიტეტის გამგეობები	13	205,800
ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახური	10	281,000
ქ. თბილისის საკრებულოს აპარატი, მერია	6	263,000
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	2	135,000
სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური	1	94,153
სხვა	31	235,700

მომსახურების სააგენტოს უსასყიდლოდ გადაცემული აქვს სხვადასხვა ორგანიზაციებზე 87,920 ლარის ღირებულების მობილური ტელეფონები მათ შორის:

დასახელება	რაოდენობა	ღირებულება
ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახური	31	30,640
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	55	26,850
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	49	24,600
სხვა	6	5,830

²⁷⁴ . მათ შორის, მსუბუქი, სატვირთო, მიკროავტობუსები და ა.შ.

7.9 მომსახურების სააგენტოში ჩატარებული ინვენტარიზაციები

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულების²⁷⁵ შესაბამისად საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნების, და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი შემუშავებულია და დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ 2010 წლის 23 ივლისს²⁷⁶, რომლის მიხედვითაც ინვენტარიზაციის ჩატარება აუცილებელია ორგანიზაციის მატერიალური პასუხისმგებელი პირების შეცვლის შემთხვევაში, მატერიალურად პასუხისმგებელი პირების შეცვლისას-მხოლოდ მათ პასუხისმგებლობაში არსებული აქტივებისათვის²⁷⁷. ანალოგიური წესია განსაზღვრული N70 ბრძანებულებითაც²⁷⁸.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებულ N771²⁷⁹ და N310²⁸⁰ ბრძანებებში 2013 წლის 11 თებერვალს შეტანილი ცვლილებებით სააგენტოს მიერ ქონების მიღებისა და აღრიცხვის ინსტრუქციის შედგენა სააგენტოს გენერალური დირექტორის უფლებამოსილებას წარმოადგენდა²⁸¹, რის საფუძველზეც გენერალური დირექტორის 2013 წლის 5 მარტის N555 ბრძანებით დამტკიცდა - სააგენტოს მიერ, სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონებისა და აგრეთვე, განსაკარგავად გადაცემული მოძრავი ქონების მიღებისა და აღრიცხვის ინსტრუქცია.

თავდაპირველი ინსტრუქციის პირველი რედაქციაში საერთოდ არ იყო გათვალისწინებული სავალდებულო ინვენტარიზაციის ჩატარება მატერიალური პირების შეცვლისას, ასევე სავალდებულო ნაწილის სხვა შემთხვევებიც, რაც განსაზღვრულია პრეზიდენტის N70 ბრძანებულებით და ფინანსთა მინისტრის N605 ბრძანებით. აღნიშნულ შეუსაბამობაზე მიუთითა თავის ანგარიშში ფინანსთა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტმა. სააგენტომ 2014 წლის 12 ივნისს²⁸² ბრძანებით ნაწილობრივ გამოსწორდა აღნიშნული შეუსაბამობა. კვლავ პრობლემატურია ინვენტარიზაციის ჩატარების პერიოდულობა, კერძოდ სააგენტოს ინსტრუქციით ქონების სრული ინვენტარიზაცია (მათ შორის, იმ ქონების ინვენტარიზაცია, რომელიც არ არის განთავსებული სააგენტოს საწყობებში) ხორციელდება 3 წელიწადში ერთხელ. ამ შემთხვევაში საკმაოდ დიდი რისკის

²⁷⁵ .მუხლი 16¹;

²⁷⁶ . N605 ბრძანება;

²⁷⁷ . მუხლი მე-3, 1 -ლი პუნქტი, თ ქვეპუნქტი;

²⁷⁸ . მუხლი 15, 3 პუნქტი;

²⁷⁹ . 08.10.2012., სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების საფუძვლის განსაზღვრის, ამ ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასების და განკარგვის წესისა და პირობების, აგრეთვე რეალიზაციისა და ლიზინგის ფორმით გადაცემის შედეგად ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების თაობაზე;

²⁸⁰ . 02.08.2012., სსიპ - ის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსთვის განსაკარგავად გადაცემული ქონების აღრიცხვის ,შენახვის, შეფასების და განკარგვის წესისა და პირობების, აგრეთვე პრივატიზების შედეგად ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების თაობაზე;

²⁸¹ . N771, მუხლი მე - 3, მე - 7 პუნქტი; N310, მე - 3 მუხლი, მე - 5 პუნქტი;

²⁸² . N1872.

შემცველია საწყობების გარე პერიმეტრზე განთავსებული ქონება, რამდენადაც სააგენტოში არსებული პრაქტიკით სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების ჩაბარება ხდებოდა ადგილებზე იმ პიროვნებებზე ვისაც ჩამოერთვა აღნიშნული ქონება და ხშირია შემთხვევები როდესაც ჩაბარებული ქონება სააგენტოს თანამშრომლებს ადგილზე აღარ დახვდათ.

აუდიტის ჯგუფის არაერთი წერილობითი თუ სიტყვიერი მოთხოვნის მიუხედავად სააგენტომ ვერ წარმოადგინა როგორც სააუდიტორო პერიოდში შეცვლილ და ასევე დღეის მდგომარეობით მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს შორის გაფორმებული მიღება - ჩაბარების აქტები და შესაბამისი ინვენტარიზაციის მასალები, უფრო მეტიც ახალციხის საწყობში მატერიალურად პასუხისმგებელი პირი საერთოდ არ ჰყოლიათ.

სააგენტოს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით და ანალიზით დადგინდა, სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული და სააგენტოსათვის გადაცემული მოძრავი ქონების ჩატარებული ინვენტარიზაციები ხასიათდება მთელი რიგი ხარვეზებით, კერძოდ:

- სააუდიტო პერიოდში ჩატარებული 5 ინვენტარიზაციდან, 4 ინვენტარიზაციის ფორმები არ შეესაბამება საქართველოს ფინანსთა მინისტრის²⁸³ მიერ დამტკიცებულ ფორმას, ინვენტარიზაციის მასალებში წარმოდგენილია მხოლოდ ფაქტობრივი მონაცემები და შესაბამის ფორმაში არ არის შედარებული პროგრამა „ERP“-ს მონაცემებთან;
- ჩატარებული ინვენტარიზაციის ვადები - დასავლეთ საქართველოში, სამტრედიის ბაზის სასაწყობო მეურნეობაში ინვენტარიზაცია მიმდინარეობდა - 23 თვე, ქ. თბილისში მუხიანის დასახლებაში მდებარე სასაწყობო მეურნეობაში(ბაზა N2) – 8 თვე;
- ნაშთებზე ელექტრონული პროგრამა ERP - ის მონაცემების არათავისდროული (ასევე არასწორი) მიწოდება საინვენტარიზაციო კომისიისათვის.

²⁸³ . 28.07.2004. , N511 ბრძანება - საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველად საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო ფორმების დამტკიცების თაობაზე.

7.10 საქონლის ნაშთები ელექტრონულ პროგრამა „ERP“-ში

მომსახურების სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით სააგენტოს 2012, 2013 და 2014 წლების პირველი იანვრის მდგომარეობით ნაშთად ელექტრონულ პროგრამა „ERP“-ში ირიცხება შესაბამისად 39,407; 46,971 და 50,871 დასახელების სხვადასხვა რაოდენობის მოძრავი საქონელი. სამივე წლის 1 იანვრისათვის პროგრამა „ERP“-ში ნაშთად უცვლელად ირიცხება 17,706 დასახელების საქონელი. მათ შორის დიდი რაოდენობით საწვავი, მანქანები, ალკოჰოლური სასმელები, მედიკამენტები და ა.შ

წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზიდან ირკვევა, რომ პროგრამა „ERP“-ში არსებული ნაშთები არ ასახავს რეალობას. 2014 წლის 1 იანვრისათვის სააგენტოს ნაშთებში ირიცხება ისეთი საქონელი, რომლის განკარგვა²⁸⁴ მომხდარია წინა წლებში. მაგალითად:

- ნაშთებში ირიცხება 69,110 ლიტრის ოდენობით საწვავი, რომელიც სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეულია 2011 წელს და 2011 წელსვე²⁸⁵ გადაცემულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროზე;
- 2010 წელს სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეულია 32,590 ლარი, 145 ლირა და 1,300 დოლარი, რომელიც 2011 წელს გადარიცხულია სახელმწიფო ბიუჯეტში;
- 2011 წელს სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეულია 18,153 და 18,138 ლიტრი საწვავი, რომელიც 2011 წლის 5 – 6 ივლისს რეალიზებულია სააგენტოს მიერ;
- ავტომანქანა AUDI A6 სამივე წელს ნაშთად ირიცხება, მაშინ როდესაც იგი მიქცეულია სახელმწიფო საკუთრებაში 2011 წელს და 2011 წლის 29 ივნისს გადაცემულია უსასყიდლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროზე;
- ავტომანქანა LEXUS RX-350, სახელმწიფო ნომრით TG-1108 მიექცა სახელმწიფო საკუთრებაში 2011 წელს²⁸⁶, 2011 წლის 1 დეკემბერს გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს;
- ავტომანქანა BMW X6 სახელმწიფო ნომრით SMS-878, სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეულია 2011 წლის მარტში და ამავე თვეში გადაცემულია უსასყიდლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროზე;
- ავტომანქანა მაზი სახელმწიფო ნომრით DAH 456 მომსახურების სააგენტომ მიიღო და უსასყიდლოდ გადასცა 2012 წლის 27 იანვარს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობას და სხვა.

²⁸⁴ . ინტერნეტ-აუქციონით, მაღაზიით, უსასყიდლოდ გადაცემა;


²⁸⁵ . 18 სექტემბერი;

²⁸⁶ . მიღება-ჩაბარება გაფორმებულია 01.12.2011.

მიზანშეწონილი იქნება ჩატარდეს, პროგრამა „ERP“-ში ასახული ქონების
ნაშთების, სრული ინვენტარიზაცია და დადგინდეს მათი რეალობა.

ზურაბ შაყულაშვილი

მთავარი აუდიტორი

 31.03.2015.

ბესიკ ფერაძე

აუდიტორი

 31.03.2015

ალეკო იოზიძე

აუდიტორ-ასისტენტი

 31.03.2015

გიორგი ჭოლოკავა

აუდიტორ-ასისტენტი

 31.03.2015